ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 18 თებერვალი, 2011 | №41 (5422) | ფასი: 30 თეთრი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია, გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. იხილეთ აღნიშნული გადაწყვეტილებები

გვ. 6

განჩინებები იხილეთ გაზეთ „ახალი თაობის" ინტერნეტსაიტზე www.atb.ge

# სააკაშვილი 2013 წელს პრეზიდენტობიდან წასვლას არ აპირებს

გვ.3





გვ.5

## საქართველო მალე მარტო ავლაბრის რეზიდენცია დარჩება

ვის ხარჯზე აპირებს სააკაშვილი საქართველოს მოსახლეობის გაზრდას



## ზურაბ ნოღაიდელის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შედის

გვ.4

## სააკაშვილის იაფფასიანი „ტრიუკების" ხალხს აღარ სჯერა

გვ.2





გვ.6

## ფილმი, რომელიც ხელისუფლებას გააშიშვლებს

## სასურსათო ვაუჩერები გაჭირვებულ ოჯახებს უნდა დაურიგდეს

გვ.4



## ირაკლი ეზუგბაია მატარებლით მგზავრობის გაძვირებას უარყოფს

გვ.4

## იაპონიის პარლამენტი საქართველოს საკითხს განიხილავს

გვ.6

## *იგორ გიორგაძე:* სააკაშვილი ახალი სისხლისღვრისთვის ემზადება

გვ.7



## 3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში"

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის" უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

9 771987 938006

2 სასამართლომ დავა ლტოლვილების სასარგებლოდ გადაწყვიტა

5 პარაზიტოლოგიის ცენტრში ლეიშმანიოზით ოთხი ჩვილი მოათავსეს

3 სააპელაციო სასამართლომ ახალი მტკიცებულების საფუძველზე გადაწყვეტილება ფიზიკური პირის სასარგებლოდ შეცვალა

5 აშშ-ის საელჩო საქართველოს მოქალაქეებს აფრთხილებს

# სააკაშვილის იაფფასიანი „ტრიუკების“ ხალხს აღარ სჯერა

ნონა ცაბა ე

**პოლიტიკოსთა და ექსპერტთა დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ადრე თუ გვიან, ის, რაც ეგვიპტეში და ტუნისში მოხდა, საქართველოშიც აუცილებლად განმეორდება. სოციალური ფონი იმდენად მძიმეა, რომ საზოგადოება ამას ვეღარ შეეგუება და ქუჩაში გამოვა. საუბრობენ იმის შესახებ, რომ ამის შიში სააკაშვილსაც აქვს და სწორედ ამიტომ გადაწყვიტა მან 20 და 30 ლარიანი ვაუჩერების დარიგება, უნდა ამით ხალხში საპროტესტო მუხტი განელოს. „ახალი თაობა" ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე პოლიტიკოსს და ექსპერტს გაესაუბრა:**

**ირაკლი ბათიაშვილი:**

— ჩვენ ახლა სულ არ უნდა გვაინტერესებდეს სააკაშვილის არაადეკვატური შეფასებები. ჩვენ უკვე შეჩვეული ვართ, რომ ის ელემენტარულად მუდმივად გვაბოლებს და ნაცარს გვაყრის თვალებში, მაგრამ რეალობა არის უმძიმესი. მე ახლა აღარ დავიწყებ იმის გამეორებას, რაც მთელი საქართველოსთვის ისედაც კარგად არის ცნობილი. როდესაც ჩვენი მთავრობის წარმომადგენლები და პრეზიდენტი იმ-



იზეზებენ იმას, რომ კი, მაგრამ ინფლაცია მთელს მსოფლიოშია, ყველგან მატულობს ფასებიო, ჩვენთან ფასების მატება გაცილებით ადრე დაიწყო, სულ იყო ფასების მატება და სხვა ქვეყნებთან შედარებით გაცილებით დიდია მატება, ასე რომ, ამის მომიზეზება, რომ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს გადავაბრალოთ ყველაფერი, რა თქმა უნდა, ეს არანაირად არ უმსუბუქებს მდგომარეობას ჩვენს მოსახლეობას, ასეთი დემაგოგია. ჩვენს ხალხს სულ არ აინტერესებს, რა ხდება ახლა ამ თვალსაზრისით მთელს მსოფლიოში, აინტერესებს ის, რაც ხდება ჩვენთან.

*— და რა ხდება ჩვენთან?*

— მთელი ამ ბოლო თვეების განმავლობაში სახეზეა ფასების არანორმალური ზრდა ყველანაირ პროდუქტზე, სურსათზე. განსაკუთრებით მძიმედ აღიქმება სურსათზე ფასების ასეთი ნახტომისებური ზრდა. მოდით, ნუ შევადარებთ ჩვენს სიტუაციას საფრანგეთს, გერმანიას და ასე შემდგომ. კი, შესაძლოა ფასები იქაც იზრდებოდეს, მაგრამ მოდი, შევხედოთ, იქ როგორია მოსახლეობის მყიდველობითი უნარიანობა, როგორია იქ დასაქმების მასშტაბები, შევადაროთ ჩვენს ვითარებას. ჩვენთან ფაქტიურად, შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის ჭარბი უმრავლესობა, შეიძლება ეს იყოს 80%, ეს რეალურად არის დაუსაქმებელი, უმუშევარი ადამიანი. რაც მთავარია, უმუშევრობას ადამიანი კიდევ რაღაცნაირად გადაიტანს ხოლმე, ძალიან მძიმედ, მაშინ, როდესაც აქვს პერსპექტივის რაღაც განცდა. ჩვენთან გარდა იმისა, რომ ადამიანებს დაკარგული აქვთ ყველანაირი მყიდველობითი უნარი, დაკარგული აქვთ სამუშაო, ასევე დაკარგული აქვთ, სააკაშვილის პირობებში, პერსპექტივის განცდა, რომ შეიძლება რაღაც სამუშაო იშოვონ, რომ რაღაც შემოსავალი ეღირსოთ ოჯახში და ასე შემდგომ. იმიტომ, რომ ფაქტიურად თქვენ კარგად ხედავთ, რა მდგომარეობაშია დღეს ეკონომიკა და ბიზნესი, სრული სტაგნაცია, სრული კოლაფსის მდგომარეობაა. ამ შემთხვევაშიც ჩვენ ვხედავთ იგივე დემაგოგიას სააკაშვილის მხრიდან, როდესაც დადგება ხან ვენახში, ხან სახნავ-სათესის ტერიტორიაზე, უკან ტრაქტორებით, ხან ამწეკრანის წინ, თითქოს რაღაც შენდება და ამით მას სურს წარმოაჩინოს, რომ რაღაცები ხდება ჩვენს ქვეყანაში, ვითომდა წინსვლაა ეკონომიკაში. იცით, ხალხს ეცინება ამ სისულეებზე. პრესის ფურცლებით უნდა გავაგებინოთ ყველამ, რომ ეს იაფფასიანი „ტრიუკები“ არ ჭრის, ხალხს უფრო დიდი გაღიზიანება ეწყება. უმუშევრობა ხომ არის გაღიზიანების წყარო, შიმშილი, გაჭირვება, მაგრამ ეს „ტრიუკები“ პრეზიდენტის, არის დამატებითი ძალიან დიდი გაღიზიანების წყარო ჩვენს მოსახლეობაში. მდგომარეობა არის უმძიმესი და რა თქმა უნდა, თვითონ ხალხზე მიუხედავად გარკვეული პოლიტიკური სასოწარკვეთილებისა, რომელიც არსებობს ჩვენს საზოგადოებაში და უნდობლობისა პოლიტიკური ძალებისადმი, ხალხში არის ძალიან ძლიერი საპროტესტო მუხტი და ამაზე მოქმედებს ის, რაც ხდება ჩვენ გარეთ. დღეს მთელი მსოფლიო არის ერთმანეთთან გადაბმული. 21-ე საუკუნეში ვართ, რაც დრო გავა, ეს ინტეგრირების მასშტაბები და დონე კიდევ უფრო მაღლა აიწევს.

**გელა ნიკოლეიშვილი:**

— საქართველოს გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სოციალური მოტივით გამოსვლები ძალიან ძნელად თუ ხდება ჩვენთან და ფაქტიურად არც ხდება. ტუნისში და ეგვიპტეში ძირითადად სოციალური მოტივით დაიწყო გამოსვლები, თუმცა, რა თქმა უნდა, იქ არადემოკრატიული რეჟიმები იყო. ამავე დროს უნდა ვთქვათ, რომ მე არა მგონია, რომ იქ უფრო არადემოკრატიული რეჟიმები ყოფილიყო, ვიდრე საქართველოში, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი ხელისუფლება უფრო უკეთესად ახერხებს ხალხის დამორჩილებისაკენ მიმართული ღონისძიებების გატარებას, ალბათ, ჩვენი ხალხიც უფრო ნაკლებად არის მიმართული წინააღმდეგობისკენ. აი, ასეთი მოტივებით ეფექტური გამოსვლა და გამარჯვებით დასრულება, არ მოხდა ამ ბოლო წლების განმავლობაში. ამის რამდენიმე მცდელობა ნამდვილად იყო. ამიტომ მე ნაკლებად სავარაუდოდ მიმაჩნია, რომ სოციალური მოტივებით მოხდეს გამოსვლა და ამას ისევ გამოცდილება მალაპარაკებს.



თუმცა, ეს მუხტი თანდათანობით გროვდება. ფაქტია, რომ ყოველდღიურად სააკაშვილის ხელისუფლებას აკლდება მომხრეები, ოპოზიციას კი ემატება. ოპოზიციაში მე არ ვგულისხმობ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს, მე ვგულისხმობ ოპოზიციურად განწყობილ ადამიანებს. ეს როდესაც მიაღწევს გარკვეულ კრიტიკულ მასას, აი, ამ შემთხვევაში გადაილახება ის შიში, რომელიც დათესა ხელისუფლებამ და მე ვფიქრობ, რომ ამან კულმინაციას შეიძლება მიაღწიოს კონსტიტუციით დაგეგმილი არჩევნების პერიოდში. ეს ხდება 2012 წელს, დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, 2012 წლის გაზაფხულზეა დანიშნული საპარლამენტო არჩევნები, რომელიც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საპრეზიდენტო არჩევნები, ვინაიდან კონსტიტუციის შეცვლის შემდეგ პრეზიდენტის უფლებამოსილება შემცირდა.

*— მანამდე არაფერი მოხდება?*

— რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მანამადე არაფერი მოხდეს. მანამადე შეიძლება გაუთვალისწინებელი შემთხვევა მოხდეს და პროცესები ამით დაჩქარდეს, მაგრამ თუ ეს არ მოხდა, დუღილის მაქსიმალური ტემპერატურა სწორედ არჩევნების დროს იქნება და სწორედ ამ დროს უნდა იყოს ხალხი მაქსიმალურად მობილიზებული, მაქსიმალურად გააქტიურებული, იმიტომ, რომ მე ახლა ვხედავ განსაკუთრებულ როლს არასამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოების, ისეთ პირობებში, როდესაც პოლიტიკური პარტიების რეიტინგი ასე დაცემულია და საზოგადოების ნდობა ასე დაკარგული აქვთ პოლიტიკურ პარტიებს. ასეთ პირობებში სწორედ სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა აიღოს ინიციატივა იმ ღირებულებებისათვის ბრძოლაში, რომელსაც ჰქვია სიტყვის თავისუფლება, მედიის თავისუფლება, სიცოცხლის დაცვის უფლება და ასე შემდეგ. თუ სამოქალაქო საზოგადოებამ ერთიანად დარაზმვა მოახერხა და მთელი ძალისხმევა მიმართა სწორედ ამ ღირებულებებისათვის ბრძოლისთვის, მაქსიმალურად უნდა მოახლოვდეს ის დრო, როდესაც ეს ხელისუფლება ვეღარ შეძლებს შიშის, ძალადობისა და მოსყიდვის გზით საზოგადოების დამორჩილებას და არჩევნების აი, ასეთი გარემოს შენარჩუნებას, სადაც შეუძლებელია ობიექტური არჩევნის გაკეთება. მე ვიტყოდი, რომ ეს ბრძოლა დაწყებულია ფაქტიურად სამოქალაქო საზოგადოების მიერ, მაგრამ კონსოლიდაცია და გააქტიურება აუცილებელია. ვინაიდან ერთის მხრივ სახალხო კრებაშიც რასაც ვუყურებთ ჩვენ, ეს არის სწორედ საზოგადოების აქტივობის მანიშნებელი, მეორეს მხრივ წინააღმდეგობის მოძრაობაში რასაც ვუყურებთ, ესეც არის საზოგადოების აქტიურობის მანიშნებელი და სხვათა შორის, ყველა პარტია, ყოველთვის ამას ვამბობ და ყველას ვეუბნები, რომ ყველა პარტია, ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია თუ კონკრეტული პიროვნება, რომლის ძალისხმევა არის მიმართული სამოქალაქო ღირებულებების დაცვისაკენ, ფაქტიურად აკეთებს ერთი და იგივე საქმეს და ამიტომ მათ შორის დაპირისპირება არის დამღუპველი. რა თქმა უნდა, ამის ინსპირირებას ხელისუფლებაც აკეთებს, მაგრამ მათი არაგონივრული ნაბიჯებიც ამას ხელს უწყობს. მთელი დარტყმა მიმართული უნდა იყოს ამ ღირებულებების დამრღვევებისაკენ და ღირებულებებს არღვევს ყოველთვის ხელისუფლება. ყოველთვის მას აქვს ამის დარღვევის საშუალება. გაათმაგებული ძალისხმევაა იმისთვის საჭირო, რომ ეს ძალისხმევა გადაილახოს.

**პაატა ზაქარეიშვილი:**

— სააკაშვილს ძალიან ეშინია იმის, რომ



ის დღეები, რაც ეგვიპტემ გამოიარა, მასაც არ დაუდგეს. სააკაშვილი უკვე გრძნობს, რომ მას არავინ არაფერს არ შეარჩენს. დღეს ევროპა სულ სხვანაირად იქცევა და ამას ყველა კარგად ვხედავთ. სააკაშვილს ეშინია, რომ ის დღეები, რაც ეგვიპტემ უკვე გამოიარა 2012-2013 წლებში არ დაუდგეს. სააკაშვილმა თუ არჩევნების გაყალბება მოინდომა ამას ქართველი ხალხი აღარ შეარჩენს. დღეს გამორიცხული არაფერია, მაგრამ უმჯობესია, ეს არჩევნების შემდგომ პერიოდში მოხდეს, იმ შემთხვევაში თუ სააკაშვილის ხელისუფლება არჩევნებს გააყალბებს. დასავლეთისთვის, იმ დემოკრატიული ქვეყნებისთვის, რომლებიც დღეს ეგვიპტეს მხარს უჭერენ ეს უფრო გასაგები და მისაღები იქნება.

# სასამართლომ დავა ლტოლვილების სასარგებლოდ გადაწყვიტა

2011 წლის 17 თებერვალს უზენაესმა სასამართლომ მორიგი დავა ფიზიკური პირების სასარგებლოდ გადაწყვიტა.

მოდავე მხარეებს იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახი, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო და სოციალური მომსახურების სააგენტო წარმოადგენდა. დავის საგანი კი რამდენიმე თვის მანძილზე აუღებელი შემწეობა გახლდათ.



მოსარჩელეები გივი და დარიკო თედელურები 2008 წლის 6 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის მხრიდან განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებს წარმოადგენენ, რომლებიც 2008 წლის დეკემბერში ჩასახლდნენ მცხეთის რაიონის, სოფელ წეროვანში და ამავე წლის 19 დეკემბერს, კანონით დადგენილი წესით ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით დარეგისტრირდნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში.

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილებაში შეტანილი საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, 2009 წლის 1 იანვრიდან მთელი წლის მანძილზე, საარსებო შემწეობის მიღების უფლება გავრცელდა 2008 წლის 6 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის მხრიდან განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებზე. მოსარჩელეემა საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილებით გათვალისწინებული საარსებო შემწეობა 2009 წლის იანვრის ნაცვლად, 2009 წლის ივნისიდან მიიღეს. ამდენად, ისინი 5 თვის მიუღებელ საარსებო შემწეობას ითხოვდნენ.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო და სოციალური მომსახურების სააგენტო სადავოდ ხდიდა იმ გარემოებას, რომ საარსებო შემწეობის დანიშვნისათვის აუცილებელი პირობა იყო გივი და დარიკო თედელურების მიერ საარსებო შემწეობის დანიშვნაზე წერილობითი თანხმობა, აღნიშნული თანხმობა კი საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ მხოლოდ 2009 წლის მაისის თვეში გადაუგზავნა სოციალური მომსახურების სააგენტოს, შესაბამისად ამ თარიღიდან მოხდა შემწეობის გაცემა.

საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მიერ დარიკო და გივი თედელურების სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც ფიზიკური პირების სასარგებლოდ გადაწყვიტა დავა და სრულად დააკმაყოფილა სარჩელი. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საარსებო შემწეობის მიმღებ პირებს საარსებო შემწეობა მიეცემოდათ 2009 წლის 1 იანვრიდან მთელი წლის განმავლობაში, თუ ისინი ამ შემწეობის მიღებაზე უარს არ განაცხადებდნენ, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას პრეცედენტის ძალა აქვს და იგი ანალოგიური დავის შემთხვევაში შესაძლოა სხვა ლტოლვილებზეც გავრცელდეს.

2010 წლის მანძილზე უზენაესმა სასამართლომ 656 საქმე ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ დაასრულა. სულ სასამართლომ 2010 წელს ადმინისტრაციული კატეგორიის დავებზე 1441 საკასაციო საჩივარი განიხილა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# სააპელაციო სასამართლომ ახალი მტკიცებულების საფუძველზე გადაწყვეტილება ფიზიკური პირის სასარგებლოდ შეცვალა

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2011 წლის 07 თებერვალს განიხილა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს III განყოფილების ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები, შედგენილი ბაქარ და ლაშა ლუტიძეების მიმართ; აღნიშნული პირების მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები შედგა იმ მოტივით, რომ მათ (ბაქარ და ლაშა ლუტიძეებმა) ჩაიდინეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის კანონიერი განკარგულების ან მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობა) მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევები;

საქმეთა ზეპირი განხილვის დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს III განყოფილების წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ ოქმებს, მანვე ოქმებში მითითებული ფაქტების თაობაზე სასამართლოს მისცა ზეპირი ახსნა-განმარტება; რაც შეეხება ბაქარ და ლაშა ლუტიძეებს, მათ ასევე მონაწილეობა მიიღეს საქმის ზეპირ განხილვაში, რა დროსაც მათ მხარი არ დაუჭირეს წარმოდგენილ სამართალდარღვევის ოქმებს, უარყვეს სამართალდარღვევის ოქმებში მითითებული ფაქტები; არსებითია, რომ საქმის განხილვის პროცესში — ბაქარ და ლაშა ლუტიძეებმა სასამართლოს წინაშე ვერ მიუთითეს და ვერ წარმოადგინეს სხვა, ისეთი სახისა და შინაარსის მტკიცებულება (მტკიცებულებანი), რომლებითაც დადასტურდებოდა მათი ახსნა-განმარტებების სისწორე; ამ პირობებში სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას, გაეზიარებია ბაქარ და ლაშა ლუტიძეების ახსნა-განმარტება, რადგან ივარაუდებოდა, რომ სამართალდამრღვევათა ასეთი შინაარსის განმარტებანი ემსახურებოდა მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზანს;

არსებითია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს — ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ტერიტორიულ ერთეულს — ძველი თბილისის სამმართველოს III განყოფილებას, შესაბამისად ამ ორგანოს მოხელეებს კანონის საფუძველზე აქვთ მინიჭებული საზოგადოებრივი წესრიგის, საჯარო ინტერესების, კანონის მოთხოვნათა დაცვის უფლებამოსილება; ამ უკანასკნელის შინაარსი საჯარო მოხელეებს ავალდებულებს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს იყვნენ მიუკერძოებლები, იმოქმედონ კეთილსინდისიერად, მათთვის მინიჭებული უფლებამოსილებანი განახორციელონ კანონის ფარგლებში; ამ უფლებამოსილებათა განხორციელების პირობებში ივარაუდება, რომ სამართალდარღვევის გამომვლენი პოლიციის მოხელე მოქმედებს კეთილსინდისიერად და რომ მას გააჩნია შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევები, ადეკვატურად და ობიექტურად შეაფასოს კონკრეტული ფაქტი, ქმედება;

ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ბაქარ და ლაშა ლუტიძეების საქმეთა განხილვის დროს სასამართლო, პირველ რიგში, დაეყრდნო ადმინისტრაციული ორგანოს — ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს III განყოფილების მიერ შედგენილ სამართალდარღვევის ოქმებს, ოქმებთან ერთად წარმოდგენილ დოკუმენტებს; სასამართლომ არ გაიზიარა ბაქარ და ლაშა ლუტიძეების ახსნა-განმარტება, რადგან მათში მითითებული ფაქტობრივი გარემოებანი არ იყო დადასტურებული შესაბამისი სახისა და შინაარსის მტკიცებულებებით;

აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით თბილისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა რა ბაქარ და ლაშა ლუტიძეების საჩივარი, გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილებები და ლუტიძეები გათავისუფლებულ იქნენ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომ მიიღო მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოიკვეთა დამატებითი მტკიცებულება, ვიდეოფირის სახით, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს მხარეს არ წარმოუდგენია.

**თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეს-სამსახური.**

დაიწყეთ ახალი დღე
„ახალ ქართულ პროზასთან" ერთად!
ყოველი ორშაბათიდან ჟურნალ „გუმბათთან" ერთად შეიძინეთ „ახალი ქართული პროზის" ახალი ტომი
14 თებერვლიდან გაიყიდება მე-8 ტომი



[illegible]

ჟურნალი წიგნთან ერთად 3 ლარი ღირს

# სააკაშვილი 2013 წელს პრეზიდენტობიდან წასვლას არ აპირებს

ნათია ხურცილავა



**კონსერვატორების ლიდერი ზვიად ძიძიგური აცხადებს, რომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციასთან დაკავშირებით ისინი თავიანთ პოზიციას წერილობით დააფიქსირებენ.**

*— ბატონო ზვიად, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაზე როგორია თქვენი ხედვა და თუ მიიღებთ მონაწილეობას მის შემუშავებაში?*

— მონაწილეობის მიღება სხვადასხვაგვარად შეიძლება განვიხილოთ. ზოგს ჰგონია, რომ მონაწილეობის მიღება გულისხმობს მისვლასა და დებატებში ჩართვას. კონსერვატიული პარტია ჩვენს შეთავაზებას წერილობით დავაფიქსირებთ, თუ როგორ წარმოგვიდგენია ქვეყნის უსაფრთხოების კონცეფცია. ქვეყნის უსაფრთხოების კონცეფცია არის დიდხნიანი დოკუმენტი, რომელიც გამომდინარეობს ქვეყნის მომავალი განვითარების სტრატეგიული ხედვებიდან. თუ ამ დოკუმენტში პირდაპირ წერ, რომ რომელიმე სახელმწიფო, მაგალითად, რუსეთი არის შენი მტერი, ეს ნიშნავს, რომ ფაქტიურად სტაბილური, ნორმალური კავკასიის ნაცვლად უნდა გავაგრძელოთ დაპირისპირება, რომელიც მთავარი პრობლემაა ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების თვალსაზრისით. ამიტომაც ჩვენ მიგვაჩნია, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობების დარეგულირება, კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენა, აქედან გამომდინარე, უსაფრთხოებისა და განვითარების პერსპექტივების დანახვა ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია, მაგრამ, როდესაც წერ, რომ შენი მტერია რომელიმე ქვეყანა, ეს ნიშნავს, რომ უკუნითი უკუნისამდე მიგაჩნია — მტრობა უნდა გაგრძელდეს. ამას კი საქართველოსთვის მხოლოდ დამღუპველი შედეგი შეიძლება ჰქონდეს. ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოება ვერასოდეს იქნება დაცული მანამ, სანამ ქვეყნის ცენტრალური ქვეყნის იურისდიქცია არ აღდგება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. იურისდიქცია ვერ აღდგება, თუ ისევ იარაღით, ტოტალური თავდაცვით ან ტოტალური თავდასხმით ვცადეთ ტერიტორიების დაბრუნება. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ რაზეც ეროვნული საბჭო, კონსერვატორები ამდენი ხანი ვსაუბრობთ, რუსულ-ქართული ურთიერთობების დარეგულირების ჭრილში ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიების აღება და ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა არის მთავარი ხაზი, რომელიც უნდა ახლდეს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას.

*— პრეზიდენტმა წლიური ანგარიშის დროს არ ისაუბრა იმაზე, თუ როგორ აპირებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. თუ გაქვთ ამაზე კითხვა?*

— როგორ არ მაქვს. არ ისაუბრა იმიტომ, რომ ეს არის ჩიხი მისთვის. მან გააფუჭა მაქსიმალურად ის, რისი გაფუჭებაც შეიძლებოდა. ამ მიმართულებით მისი რესურსი თავიდან ბოლომდე ამოწურულია. მას ამ საქმეში მხოლოდ ნეგატივის მოტანა შეუძლია და არა პოზიტივის. ცნობილი ტელეხიდის დროს მან ისაუბრა აფხაზეთთან მიმართებით ცრემლებზე, სიზმრებზე. არავითარი პოლიტიკური გეგმა არ წარმოუდგენია ამ საკითხზე, როგორ შეიძლება პროგრესი იქნეს მიღწეული. არ აქვს მას ეს გეგმა. მეტიც, შეუძლებელია, რომ ჰქონდეს. მას ახლა აქვს გეგმა, ბათუმის ბულვარი როგორ შეიძლება ჩავიდეს კვარიათამდე. ეს არის მისი სტრატეგიული გეგმა. შეუძლებელია სხვაგვარად მიხეილ სააკაშვილის წარმოდგენა. არასოდეს არ აქვს ამ ადამიანს სერიოზული პასუხი კითხვებზე. მისი კითხვებზე პასუხია, რომ ჩინელებმა ჭამა დაიწყეს და ველოსიპედებიდან მანქანებზე გადასხდნენ. დაახლოებით ასეთი ტიპის პასუხი აქვს მას აფხაზეთის დაბრუნებაზე ან ცხინვალის რეგიონში ჩვენი იურისდიქციის აღდგენაზე, როდესაც ამბობს, რომ ცრემლის გარეშე ვერ უყურებს დევნილებს, რომ ღამღამობით აფხაზეთი ესიზმრება. რეალურად კი რასაც აკეთებს დევნილებთან მიმართებით, ვხედავთ. კოდორი და ახალგორი არასდროს არავის მხრიდან საპრეტენზიო ტერიტორია არ ყოფილა, დღეს კი არის რუსეთის სამხედრო მეთვალყურეობის ქვეშ.

*— ბატონო ზვიად, პრეზიდენტი 2015 წელზე აკეთებს აქცენტებს. თქვენი აზრით, რატომ?*

— 2003 წელს, როდესაც პრეზიდენტი გახდა, მაშინ საუბრობდა პირველი ვადის ფარგლებში, მერე დაიწყო მეორე ვადაზე საუბარი. ახლა 2015 წელს იმიტომ ახსენებს, რომ ადამიანები უნდა შეაგუოს იმას, რომ 2013 წელსაც არსად არ აპირებს წასვლას. მას ამის დიდი სურვილი აქვს. ჩვენს სოციალურ თუ პოლიტიკურ აქტიურობაზეა დამოკიდებული, რამდენი ხანი გაგრძელდება ეს უბედურება, რომელსაც მიხეილ სააკაშვილის რეჟიმი ჰქვია.

*— ამიტომ აკეთებს ის ამ აქცენტს?*

— აბა, ვინ ეკითხება მას, 2013-დან 2015 წლამდე განხორციელდება ეს საკითხებიო, რომ ამბობს. რა იცის მან, რა პასუხისმგებლობა ექნება 2013 წლის შემდეგ? ირიბად ამბობს, რომ მე და ნაციონალური მოძრაობა, მთელი ჩემი დამცინავი ცინიკოსი ბიჭებით, რომლებიც მიეჩვივნენ მილიარდერებივით ცხოვრებას, ვიქნებით და ვიქნებითო. როგორც ეს უნდოდათ თავის დროზე შევარდნაძეს, ასლან აბაშიძეს, სხვა მმართველებს, რომლებმაც თავიდან ბოლომდე ამოჭამეს თავიანთი რესურსები და იძულების წესით მოუწიათ წასვლა. დაახლოებით ამ გზით მიდის სააკაშვილიც.

*— ფიქრობთ, სააკაშვილსაც ამ გზით მოუწევს წასვლა?*

— როდესაც პარლამენტი არ არის, როდესაც თავისუფალი მედია არ არის, როდესაც თავისუფალი არჩევნები არ არის, ადამიანის უფლებები არ არის დაცული, საქართველო ფეთქებადსაშიში ქვეყნების სიაშია და ეს ლოგიკურია. საოცარი არ იქნება, რომ დაიწყოს ისეთი პროცესები, რომლებიც უკვე ვნახეთ და რომელთა გამეორების არავითარი სურვილი არ მაქვს. მიმაჩნია, რომ ჩემი ქვეყნისთვის საუკეთესო განვითარება არის არჩევნებით, მშვიდობიანად ხელისუფლების გადაბარება ერთი პოლიტიკური ძალიდან მეორისთვის.

*— ტუნისში, ეგვიპტეში განვითარებული მოვლენების საშიშროებაზე საუბრობთ?*

— სხვათა შორის, ტუნისი და ეგვიპტე საქართველოში არაერთხელ მომხდარა. ის, რაც ერთხელ მოხდება, არავინ არის დაზღვეული, მეორედ არ მოხდეს. სულ არ უნდა ამას ეგვიპტისა და ტუნისის მაგალითების მოყვანა. საქართველოში ერთი გადატრიალება ვნახეთ 1992 წელს, მეორე გადატრიალება — 2002 თუ 2003 წელს და რატომ არ შეიძლება, იგივე გამეორდეს, როდესაც ხელისუფლება ისეთივე კონფლიქტურ მდგომარეობაშია თავის მოსახლეობასთან, როგორშიც იყო 2003 წელს? ვარდების რევოლუცია ძალადობით ხელისუფლების შეცვლა იყო. მართალია, სისხლი არ დაღვრილა, თოფი არ გასროლილა, მაგრამ იყო პოლიტიკური მახრჩობელა ილეთი, რომელიც მაშინდელმა ხელისუფლებამ მიიღო ხალხისგან პირველ რიგში, სააკაშვილისგან არ მიუღია. ხალხი იყო მოწადინებული, რომ შევარდნაძე გაეშვათ. ამიტომ მოხდა ის, რაც მოხდა, ათობით ათასი ადამიანი ამიტომ გამოვიდა ქუჩაში და შევარდნაძეს ვადაზე ადრე მოუწია გადადგომა. ვინ არის დაზღვეული ამისგან? რით არის სააკაშვილი დაზღვეული? ჯარი, პოლიცია და ფული ვერ შეაჩერებს ამ ამბავს. როდესაც უსამართლობის ფიალა პირთამდე სავსეა, მაშინ ვერც ჯარი და ვერც ვერავინ ვერ აჩერებს აღშფოთებულ ადამიანებს.

*— სააკაშვილი იქამდე მიიყვანს საქმეს? მას აქვს გამოცდილება, რატომაც მოვიდა ის ხელისუფლებაში...*

— სააკაშვილმა შეცდომების მთელი წყება დაუშვა, რასაც 2007 წელი მოჰყვა. სააკაშვილი სწორედ იმ გზით მიდის ახლა. დღევანდელი სააკაშვილი ძალიან ჰგავს 2003, 2004 წლების ამპარტავან, ცინიკოს სააკაშვილს, რომელიც ყველას, ვინც არ არის მისი დიდებული ვარსკვლავის თაყვანისმცემელი, მიიჩნევს მტრად, მოღალატედ. ასე იყო, როდესაც ის ინტელიგენციას, პროფესორ-მასწავლებლებს, მთელ თაობას, განსაკუთრებით უფროს თაობას დაუპირისპირდა და ათასნაირი შეურაცხმყოფელი ფრაზით ამკობდა. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაშია დღეს. მის ხმაში ისევ ისმის კვეხნა, ცინიზმი. ისევ თავხედურ სოციალურ პოლიტიკას ატარებს, რაც გამოიხატება ადამიანების ყოველდღიურად ცხოვრების დამძიმებით.

# სასურსათო ვაუჩერები გაჭირვებულ ოჯახებს უნდა დაურიგდეს

**სასურსათო ვაუჩერების დარიგების საკითხს გუშინ ოპოზიციონერი დეპუტატები გამოეხმაურნენ და საკუთარი მოსაზრებები დააფიქსირეს. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი გურამ ჩახვაძე სასურსათო ვაუჩერებთან დაკავშირებით ახალი ინიციატივებით გამოვიდა.**



ნანა მიშელაშვილი

მთავრობა 30-ლარიანი სასურსათო ვაუჩერების დარიგებას მარტიდან აპირებს. ამ ინიციატივით პარლამენტში ყოველწლიური მოხსენებით გამოსვლისას პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გამოვიდა.

გუშინ პარლამენტში ბრიფინგი გამართა გურამ ჩახვაძემ და სასურსათო ვაუჩერების დარიგებას სწორი გადაწყვეტილება უწოდა, თუმცა, ამ ვაუჩერების დარიგების ახალ სისტემაზე ისაუბარა.

— ედპ მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ასეთი სახის აქცია სწორი ნაბიჯია, მაგრამ, თუ გვინდა, შედეგს მივაღწიოთ და არ გამეორდეს შეცდომები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ელექტრონული ვაუჩერების დარიგებისას, უნდა შევქმნათ სისტემა, რომელიც დაეყრდნობა რამდენიმე პრინციპს. კერძოდ, სასურსათო ვაუჩერები უნდა დაურიგდეთ საზოგადოების ყველაზე გაჭირვებულ ოჯახებს, ანუ უნდა იყოს მიზნობრივი. ოფიციალური სტატისტიკით, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების რაოდენობა, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან იურიდიულად არიან აღიარებული, 150 697-ია, — აღნიშნა გურამ ჩახვაძემ.

ედპ-ის წევრის თქმით, სასურსათო ვაუჩერის ოდენობა უნდა იყოს საარსებო მინიმუმის შესაბამისი, რომელიც ოფიციალური სტატისტიკით საშუალო ოჯახზე შეადგენს 243 ლარს.

გურამ ჩახვაძეს მიაჩნია, რომ სასურსათო ვაუჩერების დარიგება არ უნდა იყოს ერთჯერადი აქტი და ამან სისტემატური ხასიათი უნდა მიიღოს.

დეპუტატი მიიჩნევს, რომ უნდა გაიყოს სახელმწიფო დახმარება და ქველმოქმედება, მაგალითად, თუ პარლამენტის წევრს სოციალურად გაჭირვებული ადამიანის დახმარება და სასურსათო ვაუჩერების გადაცემა უნდა, ეს არ უნდა მოხდეს ბიუჯეტის ხარჯზე.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია გამოდის ინიციატივით და პარლამენტსა და მთლიანად ხელისუფლებას სთავაზობს, სახელმწიფო დახმარებისა და ქველმოქმედების მიზნით რეგულარულად გარკვეული თანხა ხელფასებიდან გადაირიცხოს სპეციალურ ფონდში. ეს ფონდი კი პატრიარქის ფონდი შეიძლება იყოს.

— ჩვენი აზრით, უწმინდესის თანხმობის შემთხვევაში, ეს უნდა იყოს პატრიარქის ფონდი, რომლის მეშვეობითაც ეპარქიებში შემავალი ეკლესიები დაეხმარებიან სოციალურად დაუცველ პირებს, — ასეთია გურამ ჩახვაძის პოზიცია.

რატომ მაინცდამაინც საპატრიარქოს ფონდი? ამ შეკითხვაზე პასუხი თავად დეპუტატმა გასცა.

— საპატრიარქო მაღალი ნდობით სარგებლობს საზოგადოებაში და, თუ საპატრიარქოსგან თანხმობა იქნება, მითქმა-მოთქმა სად წავიდა თანხები ან როგორ დაიხარჯა, ეს გამორიცხულია, — აღნიშნა გურამ ჩახვაძემ.

კიდევ ერთი: ზოგიერთი ეკონომიკური ექსპერტი ამბობს, რომ 20-ლარიანი და 30-ლარიანი ვაუჩერების დარიგების შემდეგ ინფლაციური პროცესები ქვეყანაში კიდევ უფრო გაღრმავდება. ამ მოსაზრებას გურამ ჩახვაძე არ იზიარებს.

გურამ ჩახვაძე მიიჩნევს, რომ ეს არანაირ ინფლაციურ პროცესებს ან ფასების ზრდას არ გამოიწვევს. დეპუტატის თქმით, ეს უნდა გაკეთებულიყო უფრო ადრე, როდესაც ქვეყნის ეკონომიკა დეპრესიულ მდგომარეობაში იყო და ეკონომიკას გამოცოცხლება სჭირდებოდა. მისივე აზრით, ამ დროს ასეთ ინექციებს ყველა სახელმწიფო ახორციელებს.

საკუთარ ინიციატივების გაცნობას გურამ ჩახვაძე პარლამენტის თავმჯდომარისთვის აპირებს. პარლამენტის უახლოეს სხდომაზე ედპ-ის წევრი საკუთარ მოსაზრებებს დეპუტატებსა და მთავრობის წევრებს გააცნობს.

ედპ-ის წევრს აშშ-ის მაგალითი მოჰყავს, სადაც ადამიანებს სასურსათო კუპონი ურიგდებათ. ჩახვაძის თქმით, აშშ-ში იმ ადამიანებს ურიგდებათ სასურსათო კუპონები, რომელთა შემოსავალი საარსებო მინიმუმზე ქვემოთ არის. ისინი ამ კუპონებით ნებისმიერ მაღაზიაში მიდიან და საჭირო პროდუქტს ყიდულობენ.

კიდევ ერთი დეპუტატი, რომელიც საკუთარ პოზიციას აფიქსირებს ენერგო და სასურსათო ვაუჩერებთან დაკავშირებით, პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი გიორგი ცაგარეიშვილია.

ცაგარეიშვილი ვაუჩერებს ტალონებს უწოდებს და განმარტავს, რომ ეს ვაუჩერი კი არა, ტალონებია.

— მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მიხეილ სააკაშვილის უკან ევროკავშირის დროშა ფრიალებს, ეტყობა, ამ ადამიანს უნდა, გააკეთილშობილოს ფრაზები და ტალონს დაარქვა ვაუჩერი. ჩვენ ვუბრუნდებით იმ ჯურღმულს, რომელშიც კომუნისტურმა რეჟიმმა თავის დროზე ჩააგდო საბჭოთა კავშირი, — აღნიშნა გიორგი ცაგარეიშვილმა.

ოპოზიციონერი დეპუტატი იხსენებს იმ პერიოდს, როდესაც საქართველოში ტალონებს არიგებდნენ. ცაგარეიშვილს ახსოვს რიგები, როდესაც არიგებდნენ ხორცის, პურის, ასანთის ტალონებს.

— რას ნიშნავს ახლა ამ ტალონების დარიგება? ვის მისცეს ელექტროენერგიის ვაუჩერი? მისცეს იმას, ვინც მეტი დენი დახარჯა, არ მისცეს იმას, ვინც ცოტა დენი მოიხმარა. ადამიანები ვერ ხარჯავენ ელექტროენერგიას იმიტომ, რომ ძალიან უჭირთ და ტელევიზორსაც კი ვერ უყურებენ. ეს არასწორი მიდგომაა. ახლა, ეტყობა, გაითვალისწინეს და გადაწყვიტეს, ყველას მისცენ 30-ლარიანი ტალონი, — აღნიშნა გიორგი ცაგარეიშვილმა.

სასურსათო ვაუჩერის მიღების შემდეგ ადამიანს შეუძლია მივიდეს ბანკში და მიიღოს 30 ლარი. რას იყიდის ადამიანი ამ 30 ლარით? — კითხულობს გიორგი ცაგარეიშვილი და ამ შეკითხვას თავადვე პასუხობს.

დეპუტატი კითხულობს: კილოგრამი ხორცი და ნიორი 12-12 ლარი ღირს, ერთი ბოთლი ზეთი — 4 ლარი, შაქარი — 2 ლარი 50 თეთრი. რა უნდა იყიდოს ამ 30 ლარით საქართველოს მოქალაქემ?

20-ლარიანი ენერგოვაუჩერების დასაფინანსებლად 20 მილიონი ლარია საჭირო, ხოლო 30-ლარიანი სასურსათო ვაუჩერების დასარიგებლად 30 მილიონი ლარი იქნება საჭირო. საიდან უნდა გამოიყოს ეს თანხები?

ამ საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები რამდენჯერმე დასვეს ოპოზიციონერმა დეპუტატებმა, თუმცა ჯერჯერობით პასუხი ვერ მიიღეს.

გიორგი ცაგარეიშვილმა არ იცის, საიდან გამოიყოფა ან 20 მილიონი ლარი ან 30 მილიონი ლარი, ამიტომ ამ თანხების წარმომავლობაზე განმარტებას მოითხოვს.

— ეს თანხები ბიუჯეტში გაწერილი არ იყო. როგორც ჩანს, ეს თანხები მობილიზებული იქნება მთავრობისა და პრეზიდენტის ფონდებიდან. კიდევ ერთი საინტერესო რამ — ბიზნესმენებთან გამართულ შეხვედრაზე, რომელიც დავით ბაქრაძესთან ჩატარდა, პარლამენტის თავმჯდომარემ თქვა, ამ წელიწადს საქართველოს სოციალური აფეთქება არ ემუქრება, იმიტომ რომ ეროვნული ბანკის სპეციალურ ანგარიშებზე მილიარდი ლარი გვაქვს მობილიზებული, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ შესაბამისად დაიხარჯებაო, — აღნიშნა გიორგი ცაგარეიშვილმა.

ოპოზიციონერი დეპუტატი იმასაც ამბობს, რომ თავის ერთ-ერთ გამოსვლაში ფინანსთა მინისტრმა ასევე განაცხადა, რომ მილიარდი ლარი გვაქვს მობილიზებული.

გიორგი ცაგარეიშვილი ამბობს, რომ მთავრობას უნდა, ხანძარი ჩააქროს, თუმცა, ხანძრის გამომწვევ მიზეზს არავინ ებრძვის.

კიდევ ერთი შეკითხვა, რომელსაც ცაგარეიშვილი სვამს, ასეთია — საიდან უნდა გამოიყოს სოფლის მეურნეობის დასაფინანსებლად დამატებით 150 მილიონი ლარი?

— მე ვსვამ შეკითხვებს: საიდან უნდა გამოიყოს ენერგოვაუჩერებისთვის 20 მილიონი, სასურსათო ვაუჩერებისთვის 30 მილიონი და სოფლის მეურნეობისთვის 150 მილიონი ლარი? იმ მილიარდიდან ხომ არა, რომელზეც ბატონმა დავით ბაქრაძემ ისაუბრა დახურულ შეხვედრაზე ბიზნესმენებთან? — აინტერესებს გიორგი ცაგარეიშვილს.

მას შემდეგ, რაც მთავრობის მიერ კონკრეტული განცხადება გაკეთდება, გაირკვევა, საიდან გამოიყოფა ვაუჩერების დასაფინანსებლად საჭირო თანხები.

## ზურაბ ნოღაიდელის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შედის

დღეს ზურაბ ნოღაიდელის წინააღმდეგ მისი ყოფილი თანამებრძოლები თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელს შეიტანენ.



როგორც „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ ერთ-ერთმა ლიდერმა და ექს-პრემიერის ყოფილმა თანაპარტიელმა ნატო ხოხიაშვილმა „მედიანიუსს“ განუცხადა, ნოღაიდელს პროგრამა „კარდაკარის“ აქტივისტებისთვის ხელფასი ამ დრომდე არ დაურიგებია. აღნიშნულ დავას უკვე სასამართლო გაარკვევს.

ხოხიაშვილის ინფორმაციით, ნოღაიდელს მისი ყოფილი თანამებრძოლების 300 ათას ლარზე მეტი მართებს.

„მედიანიუსთან“ საუბარში ნოღაიდელის ყოფილი თანაგუნდელი მის პარტიასაც შეეხო და აღნიშნა, რომ მოძრაობამ ოფისი მარჯანიშვილის ქუჩაზე იქირავა და უახლოეს მომავალში გააქტიურებასაც გეგმავს. ხოხიაშვილის მტკიცებით, მათ რუსეთიდან

ედინაია როსიას„ წარმომადგენლებიც დაუკავშირდნენ.

— თუმცა ამ ეტაპზე ამ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კომენტარის გაკეთებისგან თავს შევიკავებთ, — აღნიშნა ხოხიაშვილმა.

როგორც ცნობილია, მოძრაობას ზურაბ ნოღაიდელის თავამჯდომარეობის დროს, რუსეთის მმართველ პარტია ედინაია როსიასთან„ თანამშრომლობის ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული, თუმცა უცნობია, გაგრძელდება თუ არა პარტიების თანამშრომლობა მას შემდეგ, რაც ზურაბ ნოღაიდელმა პარტია დატოვა და ახალი მოძრაობა დააფუძნა.

მედიანიუსი

## ირაკლი ეზუგბაია მატარებლით მგზავრობის გაძვირებას უარყოფს

„საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორი ირაკლი ეზუგბაია მატარებლით მგზავრობის საფასურის გაზრდას უარყოფს და აცხადებს, რომ ამის შესახებ გავრცელებული ინფორმაია სიმართლეს არ შეესაბამება.



მისი თქმით, მიუხედავად ქვეყანაში არსებული ინფლაციური პროცესებისა, მატარებლით მგზავრობის საფასური ბოლო ხუთი წლის მანძილზე არ გაზრდილა.

— უახლოეს მომავალში მსგავსი არაფერი იგეგმება. ჩვენი ამოცანა მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი, დაბალი ფასების შენარჩუნებაა. ასევე, ჩვენი მიზანია, რომ მატარებლით რაც შეიძლება მეტმა მოქალაქემ ისარგებლოს, — განაცხადა ეზუგბაიამ და დასძინა, რომ ლეიბორისტების მიერ გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, თითქოს მან საკუთარ მოადგილეებს საახალწლოდ 200-200 ათასი ლარიანი პრემიები გამოუწერა, მტკნარი სიცრუეა.

შეგახსენებთ, რომ გუშინ ლეიბორისტული პარტიის გენერალურმა მდივანმა იოსებ შატბერაშვილმა რკინიგზის ცენტრალურ სადგურთან გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ ერთი კვირის წინ მთავრობის გადაწყვეტილებით მატარებლით მგზავრობა 20-30% გაძვირდა. მისი თქმით მგზავრობის საფასურის გაძვირება ,,საქართველო რკინიგზაში“ არსებულ კორუფციას უკავშირდება.

მედიანიუსი

## ორი ადამიანის მკვლელობის, გაქურდვისა და დაწვის გამო გიორგი თორაძეს უვადო პატიმრობა შეეფარდა

გასული წლის 23 სექტემბერს თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე ერთ-ერთ ბინაში ორი ადამიანის, 35 წლის თამუნა ჯოგლაძისა და 17 წლის ინგა თუშიშვილის მკვლელობის, გაქურდვისა და დაწვის გამო თბილისის საქალაქო სასამართლომ გიორგი თორაძეს უვადო პატიმრობა შეუფარდა, — ამის შესახებ „მედიანიუსს“ საქალაქო სასამართლოდან აცნობეს.

საქმის მასალების მიხედვით, თორაძემ, რომელმაც სამორინეში 35 ათასი დოლარი წააგო, თანხის მოპოვების მიზნით, ნათესავის, გიორგი თუშიშვილის გაქურდვა განიზრახა. შეიტყო, რომ გიორგი თუშიშვილი სახლში სოლიდურ თანხასა და ძვირფასეულობას ინახავდა და ნათესავთან სტუმრობის ის დროს შეარჩია, როდესაც სახლში მხოლოდ ახალგაზრდა ქალები იმყოფებოდნენ. თორაძემ თუშიშვილის მეუღლესა და მასთან სტუმრად მყოფ გოგონას დანის გამოყენებით 20-20 ჭრილობა მიაყენა, ბინას ცეცხლი წაუკიდა და შემთხვევის ადგილიდან ნაქურდალი ძვირფასეულობით მიიმალა.

პოლიციამ მკვლელი მეორე დღესვე დააკავა. ეჭვმიტანილი ვიდეოკამერებმა დააფიქსირეს. თორაძემ დანაშაული აღიარა.

პროკურატურამ გიორგი თორაძეს დამამძიმებელ გარემოებებში განსაკუთრებული სისასტიკითა და ანგარებით ორი პირის განზრახ მკვლელობაში და ასევე ცეცხლის წაკიდებით სხვისი ნივთის დაზიანებაში, გაასამართლა.

მედიანიუსი

## სოციალური აგენტები გირაოთი გაათავისუფლეს

თბილისის საქალაქო სასამართლომ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ბრალდებული სოციალური მომსახურების სააგენტოს ლაგოდეხის სამსახურის სოციალური აგენტები - მამუკა ბოკერია და ალექსანდრე შავლაყაძე გირაოთი გაათავისუფლა, ამავე სამსახურის უფროსს თემურ გოგოლაძეს კი პატიმრობა შეეფარდა, — აცნობეს „მედიანიუსს“ კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლები სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლებთან ერთად 14 თებერვალს დააკავა.

გამოძიების ინფორმაციით, საქმეზე დაკავებულმა პირებმა ყალბი დოკუმენტების დამზადებითა და გამოყენებით, სადაზღვევო კომპანიების მიერ ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აღებული ვალდებულებების უგულვებელყოფით და მატერიალური გამორჩენის მიღების მიზნით, არ დაარიგეს სოციალურად დაუცველი ფენებისათვის განკუთვნილი სადაზღვევო პოლისები და შესაბამისად, თავი აარიდეს გასაწევი სამედიცინო მომსახურების ხარჯებს, რის შედეგადაც მიითვისეს 5 მილიონ 700 ათას ლარზე მეტი სადაზღვევო პროგრამისათვის გამოყოფილი სახელმწიფო თანხა. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე, 332-ე და 372-ე მუხლებით მიმდინარეობს.

მედიანიუსი

## სასჯელაღსრულების სამინისტრომ ჟურნალისტებს ციხეებში შეშვებაზე უარი უთხრა

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ ჟურნალისტებს ციხეებში შეშვებაზე უარი უთხრა. ოფიციალურ წერილში, რომელიც ეკა ბესელიას ოფისში მიიღეს, ნათქვამია, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ჟურნალისტების ვიზიტი და მსჯავრდებულ პირებთან მათი უშუალო კომუნიკაცია გათვალისწინებული არაა. წერილში ასევე ნათქვამია, რომ რამოდენიმე კვირაში ამოქმედდება ვიდეოპაემნის საპილოტო პროგრამა, რის შესახებაც კანონში უკვე შესულია ცვლილება და მალე უშუალოდ მსჯავრდებულებთან საუბრის შესაძლებლობა იქნება.

ეკა ბესელიას განცხადებით, ამ პასუხს უფლებადამცველებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს შემდეგი რეაგირებისთვის გადაუგზავნიან. ჟურნალისტების მიმართვაზე პასუხი 16 თებერვალს მივიდა. დღეს მოძრაობის „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს ხელმძღვანელი ეკა ბესელია და ორგანიზაციის ადვოკატები ქსნის დახურულ საპყრობილეში პატიმრების სანახავად შესვლას აპირებენ, რათა ადგილზე გაეცნონ არსებულ ვითარებას.

ინტერპრესნიუსი

# საქართველო მალე მარტო ავლაბრის რეზიდენცია დარჩება

## ვის ხარჯზე აპირებს სააკაშვილი საქართველოს მოსახლეობის გაზრდას

თეა მარხვაი ე

**რამდენიმე დღის წინ ხელისუფლებამ და ოპოზიციის ნაწილმა გადაწყვიტეს, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაზე ითანამშრომლონ. ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე კატეგორიული უარი განაცხადა პარტიამ „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო".**



პარტიის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ხელისუფლებასთან, რომელიც მზად არის, ნებისმიერი დოკუმენტი და კანონი ფეხქვეშ გათელოს, თანამშრომლობა არ შეიძლება. პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე საქართველოს პრეზიდენტს ბრიტანულ გამოცემაში გაკეთებული განცხადებების გამო პრეტენზიებს უყენებს. „ინდიფენდენტთან" საუბარში ჩვენმა პრეზიდენტმა აფხაზეთი და სამაჩაბლო ქვების გროვად მოიხსენია.

რატომ ვერ მიაღწევს საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 2015 წლისთვის 5 მილიონს, რას გვიქადის ქვეყნის სინგაპურიზაცია, რა უთხრა პარლამენტის ტრიბუნიდან ოპოზიციას სააკაშვილმა, რას არ უნდა შეეგუოს ქართველი საზოგადოება, ამ თემებზე პარლამენტის ყოფილი სპიკერი **ნინო ბურჯანაძე** „ახალ თაობას" ესაუბრება.

***— ოპოზიციური პარტიების ერთმა ნაწილმა თანხმობა განაცხადა, ითანამშრომლოს ხელისუფლებასთან ეროვნული უსაფრთხოების ახალი კონცეფციის გარშემო. თქვენ განაცხადეთ, რომ ამ საკითხის გარშემო ხელისუფლებასთან თანამშრომლობას არ აპირებთ.***

— ჩვენმა პარტიამ წელიწადნახევრის წინ წარმოადგინა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის პროექტი. ჩვენ მისი პრეზენტაცია საჯაროდ მოვახდინეთ. ამ განხილვაზე მოპატიჟებული იყვნენ ექსპერტები, დიპლომატები, შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ჩვენ მიერ შემუშავებულმა დოკუმენტმა ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა. ის ყველასთვის ხელმისაწვდომი იყო. ამით მაშინვე ისარგებლა ხელისუფლებამ. მათ ჩვენი რამდენიმე ინიციატივა, როგორც საკუთარი, ისე გაახმოვანა. ამის გამო პრეტენზია არ წამოგვიყენებია. ეს არ არის პრობლემა. ჩვენთვის მთავარია, ქვეყნისთვის რაიმე სასიკეთო საქმე გაკეთდეს. რაც შეეხება ხელისუფლების ბოლო ინიციატივას, კონცეფციის გარშემო თანამშრომლობას, ჩვენ ამას არ ვაპირებთ. არ ვაპირებთ იმიტომ, რომ ხელისუფლება არის აბსოლუტურად უპასუხისმგებლო და არაადეკვატური. ის არ დაგიდევს, რა წერია ამა თუ იმ დოკუმენტში. ასეთ ხელისუფლებასთან რაიმე ტიპის დოკუმენტის შემუშავებას აზრი არა აქვს. ეს ხელისუფლება მუდმივად გათელავს ფეხქვეშ ნებისმიერ დოკუმენტს, მუდმივად დაარღვევს აღებულ ვალდებულებებს. ან როგორ შეიძლება ითანამშრომლო იმ ხელისუფლებასთან, რომლის პრეზიდენტიც უპასუხისმგებლო და ანტისახელმწიფოებრივ განცხადებებს აკეთებს.

***— პრეზიდენტის რომელი განცხადება გაქვთ მხედველობაში?***

— მან ბრიტანულ გამოცემა „ინდიფედენტს" მისცა ინტერვიუ, სადაც აღმაშფოთებელი განცხადება გააკეთა. პრეზიდენტი ამბობს, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მხოლოდ ქვების გროვა ყოფილა. ამ ორ ტერიტორიას თურმე ნულოვანი ფასეულობა აქვს. მე მინდა დავსვა კითხვა: რა უსაფრთხოების კონცეფციაზე შეიძლება იყოს საუბარი, როცა ქვეყნის პირველი პირი აფხაზეთსა და სამაჩაბლოს ქვების გროვას უწოდებს. მითხრას ვინმემ, აქვს თუ არა აზრი ასეთ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას. ჩვენ მათთან არ ვითანამშრომლებთ, სამაგიეროდ ჩვენ მიერ შემუშავებულ კონცეფციას კიდევ ერთელ გავახმოვანებთ. საზოგადოებას აქვს უფლება, იცოდეს, როგორია ჩვენი ხედვა. ხალხმა უნდა იცოდეს, როგორი იქნება ჩვენი მოქმედებები ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ. რას ჩაწერს ხელისუფლება კონკრეტულად რომელიმე დოკუმენტში, ამას ჩემთვის აზრი არა აქვს. მე ბევრჯერ მინახავს, როგორ გათელა ფეხქვეშ ხელისუფლებამ მის მიერვე აღებული ვალდებულებები. აღარაფერს ვამბობ ხელისუფლების მიერ გაკეთებულ უპასუხისმგებლო განცხადებებზე. ასეთი განცხადებები გაკეთდა ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით. როცა ცხინვალის რეგიონი დავკარგეთ, პრეზიდენტმა განაცხადა, მერე რა მოხდა, რამდენიმე სოფელი დავკარგეთო. არადა, 160 სოფელზე იყო ლაპარაკი. უპასუხისმგებლო იყო ასევე მისი ბოლო განცხადებები.

***— პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლა გაქვთ მხედველობაში?***

— დიახ. მან პარლამენტში ძალიან ბევრი უპასუხისმგებლო განცხადება გააკეთა. მე მაინტერესებს, რა არგუმენტებზე დაყრდნობით ლაპარაკობს პრეზიდენტი, როდესაც ხალხს ეუბნება, რომ საქართველოს მოსახლეობა 2015 წლისთვის იქნება 5 მილიონი. ეს არის აბსოლუტური ტყუილი.

***— თქვენ რა არგუმენტზე დაყრდნობით ამბობთ, რომ ეს არის ტყუილი?***

— სააკაშვილი რომ ტყუილს ამბობს, ეს სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით ნათლად ჩანს. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, ქვეყანაში მიგრაციის სალდო უარყოფითია. ქვეყნიდან გადის გაცილებით მეტი ადამიანი, ვიდრე შემოდის. შემომსვლელებში ტურისტებს არ ვგულისხმობ. თუმცა, არც ტურისტების ციფრია ისეთი მაღალი, როგორსაც ხელისუფლება გვეუბნება. დემოგრაფიული მდგომარეობა ქვეყანაში არის უმძიმესი. შობადობა არის ძალიან მცირე, განსაკუთრებით ისეთ რეგიონებში, როგორებიცაა იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო. სულ 2-3 რეგიონია, სადაც შობადობის მაჩვენებელი დადებითია. უმეტეს რეგიონებში კი მოსახლეობის კლებაა. ამდენად, წარმოუდგენელია, საქართველოს მოსახლეობა 2015 წლისთვის 5 მილიონი გავხდეთ, თუ, რა თქმა უნდა, პრეზიდენტი მოსახლეობის რაოდენობის გაზრდას სამხრეთ აფრიკიდან ჩამოსახლებული ბურების ხარჯზე არ აპირებს.

***— იქნებ სწორედ ეგ ჰქონდა პრეზიდენტს მხედველობაში, როცა მოსახლეობის რაოდენობის გაზრდაზე საუბრობდა?***

— ჩვენ ასეთი მასობრივი ჩამოსახლების კატეგორიული წინააღმდეგი ვართ. ქართველები სტუმართმოყვარე ხალხი ვართ და სტუმრის დაფასებაც ვიცით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ვინმე დათანხმდეს, რომ საქართველოში ქართველი ერი უმცირესობაში დარჩეს. ჩვენი პრეზიდენტი ხშირად საუბრობს სინგაპურის მოდელზე. სინგაპურის სურათები მისი წყალობით ხშირად ჩანს ეკრანზე. ადამიანებს ჰგონიათ, რომ მართლაც მისაბაძი მოდელია. მინდა, ჩემმა ხალხმა იცოდეს, რომ სინგაპური არ არის მხოლოდ ლამაზი ცათამბჯენები, კარგად გაკეთებული გზები ან განვითარებული ეკონომიკა. ამ ქვეყნის მოსახლეობის 16 პროცენტი მხოლოდ ადგილობრივია, დანარჩენები კი უცხოელები არიან. თუ ქართველებსაც უნდათ, რომ თავისივე ქვეყანაში მხოლოდ 16 პროცენტი იყვნენ, ეს მათი არჩევანია. დარწმუნებული ვარ, საქართველოს მოსახლეობა ამას არაფრით არ დაუშვებს. უპასუხისმგებლო განაცხადები გაკეთდა, როცა პრეზიდენტი ლაპარაკობდა ეკონომიკის განვითარებაზე. რეალური საფუძველი ციფრებისა, რომლებიც მან პარლამენტში მოიყვანა, უბრალოდ, არ არსებობს. ასევე უპასუხისმგებლო იყო პრეზიდენტის განცხადება, რომ 2015 წლისთვის პენსია გაორმაგდება. ის პირდაპირ ატყუებს პენსიონერებს. დღეს საშუალო პენსია შეადგენს 90 ლარს. გაორმაგების შემთხვევაში დღევანდელი კურსით ის მართლაც მიაღწევს ას დოლარს. გაიხსენოს მკითხველმა, რამდენი წლით ადრე ჰპირდებოდა სააკაშვილი პენსიონერებს, რომ 100 დოლარის ეკვივალენტი იქნებოდა მათი პენსია. ამ თანხით ადრე პენსიონერს კიდევ შეეძლო რაღაცის ყიდვა, იმ პერიოდისთვის კი ვერაფრის ყიდვას ველარ მოახერხებს.

***— პრეზიდენტმა პარლამენტში გამოსვლისას რამდენჯერმე ახსენა 2015 წელი. ექსპერტები და პოლიტიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ ამით სააკაშვილმა თქვა, 2013 წლის შემდეგაც აპირებს ხელისუფლებაში დარჩენას. თქვენი აზრით, აპირებს სააკაშვილი დარჩენას?***

— მე ზუსტად ვიცი, რომ აპირებს დარჩენას. მე ძალიან მიკვირს იმ ოპოზიციონერების, რომლებიც ამბობენ, 2013 წელს სააკაშვილი წავაო. ძალიან მაინტერესებს, რა ბერკეტით აპირებენ ისინი სააკაშვილის გაშვებას. სხვათა შორის, ეს ოპოზიციური ძალები იმასაც გვპირდებოდნენ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებით შეცვლიდნენ ხელისუფლებას. როგორ შეცვალეს ხელისუფლება, ყველამ ძალიან კარგად დავინახეთ. ახლა ამბობენ, რომ 2013 წლის შემდეგ სააკაშვილის ხელისუფლებაში დარჩენას არ დაუშვებენ. სააკაშვილმა მათ უთხრა ზუსტად, რომ ხელისუფლებიდან წასვლას არ აპირებს. ეს მას ბურჯანაძისთვის არ უთქვამს. ძალიან კარგად იცის, რომ ბურჯანაძეს ვერ მოატყუებს. მან კარგად იცის, რომ მე არც 2013 და არც 2015 წლამდე არ ვაპირებ ლოდინს. იმათ კი, ვინც არჩევნების გზით აპირებენ ხელისუფლების შეცვლას, სააკაშვილმა ნათლად უთხრა, რომ არსად წასვლას არ აპირებს. პოლიტიკურმა ძალებმა და მოსახლეობამ ნამდვილად უნდა გააკეთონ არჩევანი. უნდა იცოდეს ყველამ, რომ ამ ხელისუფლების პირობებში ერს არანაირი პერსპექტივა არა აქვს. თავმოყვარე ერი მას მარტო ბრიტანული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუს არ აპატიებდა. არც უნდა ვაპატიოთ. პრეზიდენტმა ჩვენი წინაპრების სისხლით გაჟღენთილი და ძვლებით მოფენილი მიწა ქვების გროვად მოიხსენია. ორი დღის წინ ამ საკითხთან დაკავშირებით მას კითხვა დაუსვა მამუკა აჩბამ: რომელ ლოდებზე ლაპარაკობ, მამაჩემს რომ ადევს სოხუმში გულზეო?!

***— მამუკა აჩბა სოხუმელია?***

— სოხუმელია. მამუკა აჩბას მამა სოხუმში ჰყავს დაკრძალული. ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა მშობლების ნაწილი ჩემ მიმართ ძალიან არაობიექტურად არის განწყობილი. მსაყვედურობდნენ, რატომ წავედი რუსეთში დიალოგისთვის. მე მაინტერესებს, რა რეაქცია ჰქონდათ მათ პრეზიდენტის განცხადებაზე, რომელმაც ტერიტორია, რომლის დაცვასაც მათი შვილები შეეწირნენ, უბრალო ქვების გროვად მოიხსენია. თუ მართლა ქვების გროვა იყო ცხინვალის რეგიონი, მაშინ, რატომ დაღუპა სააკაშვილმა მათი შვილები? რატომ გაიმეტა ამდენი ხალხი, თუ ამ ტერიტორიებს საქართველოსთვის ნულოვანი ღირებულება ჰქონდა? მე არ ვიცი, როგორ შეიძლება, ერმა აიტანოს ისეთი პრეზიდენტი, რომელიც საქართველოს ისტორიულ კუთხეებს ქვების გროვას უწოდებს. მე, პირადად, ასეთი რამის ატანასა და შეგუებას არ ვაპირებ.

***— თქვენ ზემოთაც აღნიშნეთ, რომ არ აპირებთ, სააკაშვილის წასვლას 2013 წლამდე ელოდოთ. როგორ აპირებთ მის გაშვებას? ჩვენში უკვე ბევრი ამბობს, რომ საქართველოშიც შეიძლება იგივე გამეორდეს, რაც ეგვიპტეში მოხდა.***

— დარწმუნებული ვარ, საქართველოშიც იგივე მოხდება, რაც ეგვიპტეში. ჩვენ ახლა იმაზე ვმუშაობთ, რომ პროცესები უსისხლოდ განვითარდეს. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა ეს პროცესები პოლიტიკურ ჩარჩოებში მოვაქციოთ. მხოლოდ ასე შეგვიძლია სისხლისღვრის თავიდან აცილება. უკვე დაწყებული გვაქვს ბრძოლა ხელისუფლების გასაშვებად. ჩვენ, სახალხო კრებასთან ერთად, თითქმის ყველა რეგიონში შევქმენით რეგიონული წინააღმდეგობის კომიტეტები. სახელისუფლებო არხებით ჩვენი არც ერთი ღონისძიება არ გაშუქებულა. არადა, ძალიან ხშირად აჩვენებენ, როგორ ხსნის ესა თუ ის ოპოზიციური პარტია რეგიონულ ოფისებს. ჩვენი იგნორირება ხდება. ამის მიუხედავად, ჩვენი რიგები ყოველდღიურად იზრდება. სულ უფრო მეტი და მეტი ადამიანი ერთვება რეგიონულ კომიტეტებში. ჩვენ გამოვაცხადებთ ეროვნული დაუმორჩილებლობის დღეს. დღეს, როცა ასიათასობით ადამიანი გამოვა ქუჩაში და ხელისუფლებას ეტყვის, წადი მშვიდობიანადო.

***— მერე, წავა ხელისუფლება?***

— უნდა წავიდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან მძიმე ხვედრს გაიზიარებს.

***— ეს ხვედრი შეიძლება ქვეყნისთვისაც ძალიან მძიმე აღმოჩნდეს?***

— მე მესმის, რომ ეს შეიძლება ქვეყნისთვის მძიმე იყოს. ამიტომაც ვაკეთებთ ყველაფერს, რათა პროცესები მშვიდობიანად განვითარდეს. ქვეყანას, ხელისუფლების შეცვლის გარდა, არჩევანი არა აქვს. ის უნდა გათავისუფლდეს ამ დანაშაულებრივი რეჟიმისაგან, თუ არადა, მაშინ უნდა შეეგუოს ღირსებისა და ტერიტორიების დაკარგვას. პრეზიდენტმა აღიარა, რომ მისთვის სამაჩაბლოსა და აფხაზეთს ნულოვანი ღირებულება გააჩნია. დარწმუნებული არა ვართ, რომ მისთვის საქართველოს სხვა კუთხეებიც ასეთივე უმნიშვნელოა. თუ არაფერს ვიღონებთ, მაშინ შეიძლება დავრჩეთ ავლაბრის რეზიდენციის ამარა, სადაც საქართველოს დროშა იქნება გამოკიდებული.

---

## პარაზიტოლოგიის ცენტრში ლეიშმანიოზით ოთხი ჩვილი მოათავსეს

გუშინ თბილისში პარაზიტოლოგიის ინსტიტუტში ლეიშმანიოზის დიაგნოზით ოთხი ბავშვი მოათავსეს. ბავშვებს სიცხე და დაავადებისთვის დამახასიათებელი სიმპტომები აქვთ. კლინიკაში ამ დიაგნოზით ამჟამად ათი პაციენტი მკურნალობს.

ექიმების თქმით, რომ ლეიშმანიოზის დიაგნოზით კლინიკაში მოთავსებული ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობა ხშირ შემთხვევაში საშუალო სიმძიმისაა, თუმცა ყოფილა შემთხვევები, როცა პაციენტი გართულებული მდგომარეობით მოუთავსებიათ.

— მაღალი სიცხის, ელენთისა და ღვიძლის გადიდების სიმპტომების დროს ექიმებმა პაციენტები აუცილებლად დროულად უნდა გამოგზავნონ დიაგნოზის დასაზუსტებლად., — განაცხადა პარაზიტოლოგიის ინსტიტუტუს კლინიკური განყოფილების ხელმძღვანელმა ოთარ ზენაიშვილმა.

დაავადების გადამტანი, ძირითადად, მწერები არიან. ინფიცირების შემდეგ, დაავადება ადამიანებში რამდენიმე თვის შემდეგ ვლინდება. ლეიშმანიოზის გამოვლენა, ძირითადად, ზამთრის პერიოდში ხდება, თუმცა ბოლო 3 წლის განმავლობაში ლეიშმანიოზის შემთხვევებმა შესამჩნევად იმატა და წლის განმავლობაში ამ დაავადების 120-მდე შემთხვევა ვლინდება.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მონაცემებით 2011 წლის იანვარში ლეიშმანიოზის 14 შემთხვევა დაფიქსირდა.

**მედიანიუსი**

## „ქართულმა პარტიამ" ოზურგეთში რაიონული ორგანიზაცია დააფუძნა

„ქართულმა პარტიამ" გურიაში გუშინ კიდევ ერთი რაიონული ორგანიზაციაა დააფუძნა. ოზურგეთში რაიონული ორგანიზაციის ოფისი პარტიის თავმჯდომარემ სოზარ სუბარმა გახსნა.

სუბარმა ოზურგეთის საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელად გოჩა გორდელაძე წარადგინა.

როგორც პარტიის თვამჯდომარემ აღნიშნა, მარტში ახლად გახსნილ ოფისში „ქართული პარტიის" ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენციაც ჩატარდება.

„ქართულ პარტიაში" გაწევრიანების მსურველების რეგისტრაცია, ოზურგეთის ორგანიზაციამ დღესვე დაიწყო.

„ქართული პარტიაში" აცხადებენ, რომ ოფისის გახსნაზე მისულ მოქალაქეებს პოლიციის თანამშრომლები უთვალთვალებდნენ.

**მედიანიუსი**

## „სახალხო კრება" წინააღმდეგობის კომიტეტებს ყვარელსა და სიღნაღში დააფუძნებს

„წარმომადგენლობითი სახალხო კრება" დღეს წინააღმდეგობის კომიტეტებს ყვარელსა და სიღნაღში დააფუძნებს.

კომიტეტების პრეზენტაციას „სახალხო კრების" აღმასრულებელი საბჭოს წევრები დაესწრებიან. ხვალვე კომიტეტის თავმჯდომარეს აირჩევენ, ასევე შექიმნება „შეფიცულთა" ჯგუფებიც.

ცნობისთვის: საქართველოს მასშტაბით უკვე 28 წინააღმდეგობის კომიტეტია შექმნილი. კომიტეტებს საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო დაუმორჩილებლობისთვის მომზადება დაევალებათ.

**მედიანიუსი**

## აშშ-ის საელჩო საქართველოს მოქალაქეებს აფრთხილებს

საქართველოში აშშ-ის საელჩოს განცხადებით, მათ ხელთ აქვთ არა ერთი ცნობა ელექტრონული თაღლითური სქემის შესახებ, რომელიც „მწვანე ბარათის" ლატარიას ეხება.

მოქალაქეებს მისდით ელექტრონული წერილები, რომელშიც ნათქვამია, რომ მათ მოიგეს „მწვანე ბარათი" და რომ ბარათის მისაღებად უნდა შეავსონ განაცხადი და გადარიცხონ მისი ღირებულება „ვესტერნ იუნიონის" მეშვეობით. ზოგიერთი ელექტრონული წერილი ძალიან რეალისტურად გამოიყურება. სამწუხაროდ, წერილებმა ბევრი ქართველი შეცდომაში შეიყვანა. მათ თაღლითებს ასობით და ათასობით დოლარი გადაურიცხეს.

საელჩო მიმართავს მოქალაქეებს, გაითვალისწინონ, რომ ლატარიაში გამარჯვებულებს არ ეგზავნებათ ინფორმაცია, რომ მათ მოიგეს „მწვანე ბარათი". 2012 წლის ლატარიაში მონაწილე პირებმა, 2011 წლის 1 მაისიდან 30 ივნისამდე, ინფორმაცია უნდა მოიძიონ შემდეგ მისამართზე: www.dvlottery.state.gov. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი იმის გარკვევა, გაიმარჯვეთ თუ არა „მწვანე ბარათის" ლატარიაში.

**მედიანიუსი**

# იაპონიის პარლამენტი საქართველოს საკითხს განიხილავს

ნანა მიშელაშვილი

საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის საკითხი შესაძლოა იაპონიის საკანონმდებლო ორგანომაც განიხილოს.

გუშინ პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის თავმჯდომარე შოთა მალაშხია იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ მასაიოში კამოჰარას შეხვდა.

ამ შეხვედრის დასრულების შემდეგ შოთა მალაშხიამ განაცხადა, რომ შეხვედრაზე საუბარი შეეხო იაპონიის პარლამენტში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების საკითხის განხილვის შესაძლებლობებს.

მალაშხიას განცხადებით, საკითხი შეეხება ისეთივე რეზოლუციების მიღებას ოკუპაციასთან დაკავშირებით, როგორიც რამდენიმე ევროპულმა ქვეყანამ მიიღო.

შოთა მალაშხიამ ისიც აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტი მზადაა იაპონიის ოკუპირებული კუნძულების საკითხი განიხილოს.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც შოთა მალაშხია საუბრობს, შეეხება ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით დოკუმენტური ფილმების პროექტს.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თქმით, მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიების მხრივ საბჭოთა კომუნისტურ რეჟიმზე არანაკლებ დამნაშავე რუსეთის დღევანდელი მმართველობაა.

— რუსეთი კიდევ უფრო შორს წავიდა. არც კომუნისტურ და არც ფაშისტურ რეჟიმებს არ მიუღიათ გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ოკუპაციისა და ეთნოწმენდის შედეგად მათ მიერ დაკავებული ტერიტორიები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ეცნოთ. ეს რუსეთის დღევანდელმა ხელისუფლებამ გააკეთა, — ასეთია შოთა მალაშხიას მოსაზრება.



შოთა მალაშხია თვლის, რომ დროა ამ პრობლემასთან დაკავშირებით ღიად გამოვიდნენ ის ქვეყნები, რომელთაც საბჭოთა რუსული ოკუპაცია უმწვავესად შეეხოთ.

# ფილმი, რომელიც ხელისუფლებას გააშიშვლებს

ნონა ცაბა ე

**რამდენიმე დღის წინ ბათუმში ჟურნალისტ ვახტანგ კომახიძის ფილმის „ესეც ჩვენი მოგებული ომის“ ჩვენება გაიმართა. ფილმში საუბარია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომზე. ფილმში საუბარია იმის შესახებ, თუ რა შეცდომები დაუშვა ქართულმა მხარემ. საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა ეს ფილმი ანტიქართულად მიიღო და ვახტანგ კომახიძე რუსეთის აგენტად მონათლა. ადამიანის უფლებათა დამცველი ნანა კაკაბაძე აცხადებს, რომ ეს რეაქცია ხელისუფლებისგან და მათი მხარდამჭერებისგან წამოვიდა, ხოლო დანარჩენმა საზოგადოებამ ფილმი მიიღო ისე, როგორც მწარე რეალობა.**

„ახალი თაობა“ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით **ნანა კაკაბაძეს** ესაუბრა:

***— ქალბატონო ნანა, საზოგადოების ნაწილში ამ ფილმის ჩვენებას არერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა, ზოგმა ვახტანგ კომახიძე რუსეთის აგენტად მონათლა, თქვენი აზრით, რატომ გაუჩნდათ მათ ასეთი განწყობა?***

— მე ვისაც მოვუსმინე, ეგეთი განწყობა ნაკლებად ჰქონდათ, თუმცა, არც ეს განწყობა იქნებოდა გასაკვირი, მაგრამ ძირითადად ეს მაინც იყო წამოსული სახელისუფლო გუნდიდან, ეს იყო ხელისუფლების გამოხმაურება. ის დოკუმენტური მასალა, რაც იქნა ნაჩვენები, უპირველეს ყოვლისა, ვისაც ურტყამდა და ვისაც ამხელდა, ეს იყო ხელისუფლება, ბუნებრივია და ამიტომ ხელისუფლებამ ამაზე რეაქცია მოახდინა. ჩემი აზრით, ძალიან დამთრგუნველი და მძიმე საყურებელია ეს ფილმი თავისი შედეგებიანად, რა თქმა უნდა. პირიქით, ეს იქნებოდა გაცილებით უფრო მძაფრი, რომ იქ ყოფილიყო მთელი ის პოლიტიკა აღწერილი, რამაც მიგვიყვანა ამ ომამდე და ომის შემდგომი პერიოდი. აი, ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი და ამ ფილმს ნამდვილად აკლდა.

***— რატომ არ იყო ამ ყველაფერზე საუბარი?***

— თვითონ ვახო ფიქრობს, რომ ეს ძალიან გაწელავდა ფილმს და გახდიდა რამდენიმესაათიანს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს იქნებოდა სრული ასახვა იმისი, რამ მიგვიყვანა თვითონ ამ ომამდე, როგორი იყო ხელისუფლების რიტორიკა ამასთან დაკავშირებით, როგორ გამოწვევებს აკეთებდნენ, თითქოს მართლაც იყო შესაძლებლობა იმისი, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მომხდარიყო, ეს ყველამ ირწმუნა და დაიჯერა და ბოლოს აღმოჩნდა, რომ დღე-ნახევრიანი ომის შემდეგ კაპიტულაციას მოაწერა ხელი ქვეყნის პირველმა პირმა. ან შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები, პრეზიდენტი, რომელიც ასფალტზე ფორთხავდა აბსოლუტურად მშვიდობიან გარემოში, საკმაოდ პატივცემულ სტუმართან ერთად, კუშნერთან ერთად იყო იმ დროს, რომელიც ინტერვიუს აძლევდა და ეს შეშინებული ასფალტზე ფორთხავდა. ასეთი პრეზიდენტი ასამართლებს ჯარისკაცებს დეზერტირობაზე დღე-ნახევრიანი ომის მერე. ან რა დღეში ჩავარდნენ ის მეომრები, რომლებიც იქ ომობდნენ, დარჩნენ აბსოლიტურად მეთაურების გარეშე, ესენი გამოიქცნენ შეშინებულები, მიატოვეს ჯარისკაცები, სწორედ ხელმძღვანელობამ და მერე ისევ ამ ადამიანებს შემოუტრიალდა ეს ყველაფერი და ეს ადამიანები გახდნენ კიდევ დამნაშავეები, რომლებიც მთელი სულით და გულით იბრძოდნენ თავიანთი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად და არ იცოდნენ, რა ბრძანება შეესრულებინათ და როგორ ემოქმედათ.

***— ამაზე კი პასუხი არავის უგია...***

— გეთანხმებით, მთელი ის უბედურება, რაც ქვეყანაში დატრიალდა ხელისუფლების მხრიდან ამაზე არავის არ უგია პასუხი. პასუხი აგებინეს ისევ რიგით ჯარისკაცებს, რომლებმაც ისედაც, თქვენ ნახეთ იმ კადრებში და საზოგადოებაც ნახა, ხელისუფლების პოლიტიკით რა დღეში აღმოჩნდა ეს ხალხი იქ. შემდეგ კი



ისევ ამ ხალხს მოთხოვეს პასუხი და კიდევ ესენი გაუშვეს ციხეებში და ზოგი ქუჩებში ჩახოცეს, ასეთი ფაქტებიც ცნობილია საზოგადოებისთვის. თუნდაც ის, თუ როგორ ექცევა დღესაც ხელისუფლება მეომარ ბიჭებს, სამშობლოსთვის თავდადებულ ადამიანებს, ომის ვეტერანებს. რა მოხდა თუნდაც ცოტა ხნის წინ, თუ როგორ დაარბიეს და როგორი შეურაცხყოფა მიაყენეს მეომრებს, ვეტერანებს. მთლიანად უნდა გაეშიშვლებინა და ეჩვენებინა ეს პოლიტიკა. იგივე დევნილები ცხინვალიდან თუ აფხაზეთიდან, რა მდგომარეობაში არიან ჩაყრილნი და როგორ ექცევა მათ ხელისუფლება. აი, ეს მთლიან კონტექსტში უნდა ყოფილიყო ნაჩვენები და გაცილებით უფრო მძაფრი იქნებოდა და გაცილებით უფრო კარგად იქნებოდა ხელისუფლების პოლიტიკა ნაჩვენები. აქ იყო მხოლოდ ომის ეტაპი და ძალიან ცოტა იყო ომამდელი პერიოდის შეფასებები თუ როგორ მივედით ამ მდგომარეობამდე. მე ვფიქრობ, რომ მაინც მთლიანად უნდა ყოფილიყო ეს ასახული ამ ფილმში. თუმცა, რაც არის ნაჩვენები იმაშიც ძალიან კარგად ჩანს, თუ როგორი პოლიტიკა გაატარა ამ ხელისუფლებამ, რა მდგომარეობაში ჩააყენა როგორც ჯარი, ისე ქვეყანა და შედეგიც ყველამ კარგად იცის, რომ 20% ტერიტორიებისა დაკარგული და იურიდიულად აღიარებულია და ის უკვე აღარ ითვლება კონფლიქტურ რეგიონად და რაც მთავარია მთლიანად დაცლილია ქართველი მოსახლეობისგან ცხინვალი.

***— რამდენად მოჰყვება ამას საერთაშორისო საზოგადოებისგან შეფასებები?***

— პირველ რიგში, ამას შეფასებები და რეაქცია უნდა მოჰყვეს ქართული საზოგადოებისგან და სწორედ მათ უნდა დააყენონ ახლა მაინც ამ ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი, ყველა იმ უბედურებაზე, რაც ქვეყანაში დატრიალდა. აი, იმ პერიოდში, რასაც ჩვენ ვუყურეთ, იქ რომ ხალხი იხოცება, გმინავს, დაჭრილი ადამიანები თუ ცეცხლწაკიდებული ადამიანები რა დღეში არიან და აქ ამ დროს რუსთაველზე როკვა მოაწყო და ცეკვა-თამაში ხელისუფლებამ და ძალიან საინტერესოა, რას ზეიმობდნენ იმ დღეს, როდესაც იქ ხალხი ასეთ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. აი, ეს დანაშაულებრივი პოლიტიკა დღემდე რომ არ შეფასებულა და რომ ამაზე არ დამდგარა ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი, მე არ ვიცი, რა შეიძლება ერს ამაზე უფრო მეტი დაემართოს, რაც ამ ხელისუფლებამ დამართა? თანაც ეს დოკუმენტურადაც არის ასახული ამ ფილმში და ამ ფილმის გარეშეც ეს კადრები ნაწილ-ნაწილ ინტერნეტით იყო გავრცელებული.

## ზურაბ არსოშვილი კასპის საკრებულოს თხოვნით მიმართავს

შიდა ქართლის გუბერნატორი ზურაბ არსოშვილი დღეს კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას დაესწრება და საკრებულო წევრებს მოსახლეობის თხოვნას გადასცემს.

მოსახლეობა კასპში ზოგიერთი ქუჩისთვის სახელის გადარქმევას ითხოვს. საკითხი შეეხება ფრიდრიხ ენგელსის, ფილიპე მახარაძისა და სხვა ქუჩებს. ეს თემა კასპის მოსახლეობასა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან გუბერნატორის შეხვედრებისას წამოიჭრა.

გუბერნატორის იმედი აქვს, რომ საკრებულო გაითვალისწინებს მოსახლეობის თხოვნას და დააკმაყოფილებს, რის შემდეგაც საკრებულოს სხდომის ოქმი ქუჩების სახელწოდების ცვლილებების შესახებ, უნდა გაიგზავნოს საქართველოს რეგიონული და ინფრასტრუქტურის განვითარების სამინისტროს სპეციალური კომისიაში შემდგომი პროცედურების გასავლელად.

**ინტერპრესნიუსი**


საქმე №2/29-11

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**
საქართველოს სახელით
ინფორმაციის საჯაროდ გავრცელების შესახებ
08 თებერვალი 2011 წელი ქ. მარნეული
ბოლნისის რაიონული სასამართლო
**მოსამართლე მერაბ ღვინიაშვილი**

**განმცხადებელი** — გივი ლაზარეშვილი
**მოთხოვნის არსი** — ქონების უპატრონოდ ცნობა

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ინფორმაციის საჯაროდ გავრცელების საკითხი და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. გამოქვეყნდეს ცნობა, ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ განცხადების თაობაზე;
2. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

*მოსამართლე* *მერაბ ღვინიაშვილი*

**საჯარო შეტყობინება**
**ინფორმაციის გავრცელების შესახებ**

ინფორმაციის საჯაროდ გავრცელების შესახებ, ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 08 თებერვლის №2/29-11 განჩინების საფუძველზე, ბოლნისის რაიონული სასამართლო ავრცელებს ცნობას, იმის შესახებ, რომ ბოლნისის რაიონული სასამართლოს წარმოებაში იმყოფება გივი ლაზარეშვილის განცხადება ქონების უპატრონოდ ცნობის მოთხოვნით.

განმცხადებელი გივი ლაზარეშვილი ითხოვს, მოძრავი ქონების, 1997 წლიდან მის მფლობელობასა და სარგებლობაში არსებული, მექანიკური სატრანსპორტო საშუალებაზე დამონტაჟებული ძარის ნომრით 247291 და ძრავის ნომერი — 335918 უპატრონოდ ცნობას.

პირებმა, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ პრეტენზია ქონებაზე, რომელიც უპატრონოდ უნდა გამოცხადდეს, უნდა განაცხადონ ბოლნისის რაიონულ სასამართლოში თავიანთი უფლებების შესახებ 3 თვის განმავლობაში, დღიდან პუბლიკაციისა.

*მოსამართლე:* *მერაბ ღვინიაშვილი*


## შსს-მ ტერაქტების ორგანიზატორი მერაბ ყოლბაია დააკავა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2010 წელს თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში მომხდარ ტერაქტებში ეჭვმიტანილი კიდევ სამი პირი დააკავა. მათ შორის ერთ-ერთი ტერაქტების ორგანიზატორი მერაბ ყოლბაიაა („კოჭოია“), რომელსაც უშუალო კავშირი ჰქონდა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანთან მაიორ ევგენი ბორისოვთან.

როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე შსს წარმომადგენელმა გრიგოლ ბესელიამ განაცხადა, ყოლბაიასთან ერთად დაკავებულები არიან ზუგდიდის რაიონის მაცხოვრებლები ნუკრი შონია და დავით კეპუტაძე, რომლებიც ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდში რკინიგზის ხიდის აფეთქების მცდელობასა და თბილისში, მუხიანში მომხდარ ტერაქტში არიან ეჭვმიტანილები.

აღსანიშნავია, რომ დეკემბერში 2009-2010 წლებში მომხდარ ტერატქებში ეჭვმიტანილი 6 პირის დაკავების დროს, „კოჭოიამ“ ოკუპირებულ აფხაზეთს შეაფარა თავი, სადაც ასევე იმყოფებოდა ტერაქტების დამკვეთი რუსეთის თვადაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანი ევგენი ბორისოვი.

შსს ტერაქტებში მონაწილეთა დაკავების ადგილს არ აკონკრეტებს . გავრცელებული ინფორმაციით კი, მისი დაკავება აფხაზეთის ტერიტორიაზე მოხერხდა, თუმცა რა ვითარებაში და ვის მიერ, დეტალები უცნობია.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2010 წლის 6 დეკემბერს თბილისში - ჯავახიშვილის ქუჩაზე და მუხიანის დასახლებაში, 28 ნოემბერს, ასევე სექტემბერში აშშ-ს საელჩოსთან და თბილისის რკინიგზის სადგურზე აფეთქებების მოწყობაში ეჭვმიტანილები დააკავა. დაკავებულებს ასევე ბრალად ედებათ 2 ოქტომბერს ხობის რაიონში საკრინიგზო ხიდის აფეთქების მცდელობა.

აფეთქებებს ჯავახიშვილის ქუჩაზე ერთი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, სხვა ტერაქტები უმსხვერპლიოდ დასრულდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ კიდევ ორი ეჭვმიტანილის ევგენი ბორისოვის და მუხრან ცხადაიას ძებნას განაგრძობს.

**მედიანიუსი**

## ევროპარლამენტმა რუსეთში კანონის დაცვის კუთხით ვითარება გააკრიტიკა

ევროპარლამენტმა რუსეთში კანონის დაცვის კუთხით ვითრება გააკრიტიკა. ევროპარლამენტმა რეზოლუცია მიიღო, სადაც რუსეთში კანონის უზენაესობა და ადამინის უფლებები მკაცრადაა გაკრიტიკებული.

როგორც რუსული მედია იუწყება, რეზოლუციაში ღრმა შეშფოთებაა გამოთქმული რუსეთში ოპოზიციის ლიდერთა დაპატიმრებებისა და მიხეილ ხადარკოვსკის სასამრთლო პროცესების მიმართ.

ევროპარლამენტი მოუწოდებს რუსეთის ხელისუფლებას ხელი შეუწყოს ქვეყანაში გახმაურებული სამართალდამცავებისა და ჟურნალისტების მკვლელობების საქმეების გახსნას და ქმედითი ნაბიჯების გადადგმით გაამყაროს პრეზიდენტის განცხადება რუსეთში არსებული კანონის უზენაესობის შესახებ.

რეზოლუციაში მოხსენიებულია ოპოზიციის ლიდერთა დაპატიმრებები, მათ შორის ბორის ნემცოვის. დოკუმენტის ავტორები რუსეთის ხელისუფლებას მოუწოდებენ, პატივი სცენ ადამინის უფლებებს, სამართლის უზენაესობას ჩრდილოეთ კავკასიაში და მოითხოვენ, რომ ჟურნალისტებისა და უფლებადამცავების მკვლელები კანონის ძალით დასაჯონ.

რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის პატივისცემა ხელს შეუწყობს მთელ მსოფლიოში და განსაკუთრებით ევროკავშირში რუსეთის ავტორიტეტის გაჯანსაღებას.

**ინტერპრესნიუსი**

# იგორ გიორგაძე: სააკაშვილი ახალი სისხლისღვრისთვის ემზადება

**კრემლი საქართველოს წინააღმდეგ თავის ყურმოჭრილ მარიონეტებს აქტიურებს. მორიგ ინტერვიუს უშიშროების ექსმინისტრ იგორ გიორგა ესთან რუსული გამოცემა „არგუმენტი ნედელი“ აქვეყნებს. მასალას შემოკლებით გთავაზობთ.**

*— 2008 წლის აგვისტოს ომში დამარცხების შემდეგ საქართველო კვლავ იარაღდება. შესაძლებელია თუ არა ახალი შეტაკებები ჩვენს ქვეყნებს შორის?*

— დღეს ყველაფერი ახალი სისხლისღვრისკენ მიდის. სააკაშვილის მხრიდან რევანშის მცდელობები არის შესაძლებელი.

*— სამხრეთ ოსეთში თუ აფხაზეთში?*

— აფხაზეთზე ძალები არ ეყოფა. ეს ნიშნავს, რომ სამხრეთ ოსეთში. მაგალითად, რესპუბლიკის ლენინგორის (ახალგორის) რაიონში რუსი სამხედროები თითქმის არ არიან. ანუ იქ გარკვეული დროით შეიძლება შესვლა, სანამ რუსული სამხედრო მანქანა ამოქმედდება. შემდეგ დაგეგმილია უკანდახევა, მაგრამ ყველა ქართული არხით ილაპარაკებენ, რომ ტერიტორიები საქართველოსთვის დაბრუნებულია, ქვეყნის მხსნელი პრეზიდენტი სააკაშვილის მიერ.

*— თუ კვლავ ომი დაიწყება, თქვენ შეძლებთ რუსული არმიის დახმარებით სამშობლოში დაბრუნებას? ამჯერად ხომ ჩვენი ტანკები თბილისის შემოგარენში აღარ გაჩერდებიან და უფრო შორს წავლენ.*

— როდესაც 2008 წელს გორში თქვენი ტანკები შევიდნენ, ხალხი კითხულობდა: „სადაა გიორგაძე? რომელ ტანკში ზის?“. სამშობლოში დაბრუნების დიდი სურვილის მიუხედავად, სახლში უცხო ტანკით არ დავბრუნდები. პიარმოსაზრებების თვალსაზრისითაც ეს შეუძლებელია. მე რომ მდომოდა, პოლიტემიგრაციის 15 წლის მანძილზე ისეთ პროგრამას შევიმუშავებდი, რომ იქ ტანკზე ამხედრებული შევსულიყავი. მაგრამ ვაფრთხილებ დღევანდელ ხელისუფლებას — თუკი საკუთარ ხალხთან, რუსეთთან ოფიციალური თბილისი პერმანენტულ ომს გააგრძელებს, მაშინ ჩვენ მოვძებნით ხერხებს ცხელი თავების გასაგრილებლად.

*— საქართველოს ამჟამინდელი ოპოზიცია (ნინო ბურჯანაძე, ირაკლი ალასანია, ზურაბ ნოღაიდელი და რიგი სხვა პერსონები) — სერიოზული ძალაა?*

— მათთან არანაირი კონტაქტები არ მაქვს. არც ადამიანური, არც პოლიტიკური. სხვა ლიდერებს ვხვდებოდი, ვურთიერთობდი. მათთან გამყოფი ხაზი გადის შემდეგ ხაზზე: გაწევრიანება თუ არგაწევრიანება ნატოში. და დამოკიდებულება საკუთარ დამოუკიდებლობასთან და სახელმწიფოებრიობასთან.

*— ისეთი სცენარები, როგორიც ეგვიპტეში ან ტუნისში განხორციელდა, საქართველოში თუ არის შესაძლებელი?*

— სამწუხაროდ, დიახ.

*— ზოგიერთი პოლიტოლოგი თვლის, რომ ჩრდილოეთ აფრიკის მოვლენებს ამერიკელები მართავენ. „ვაშინგტონის ობკომი“ დგას ქართული ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენლის უკანაც. რას ფიქრობთ ამაზე?*

— დიახ, ალასანია და სხვა ამჟამინდელი ოპოზიციონერები ამერიკულ კარტს ათამაშებენ. მაგრამ ჩვენ ასეთ ცვლილებასაც კი მივესალმებით. ხელისუფლებაში მოსული ნებისმიერი პოლიტიკოსი იძულებული იქნება, გაატაროს რეფორმები, რომლებიც ქართველ საზოგადოებას დღევანდელი ხელისუფლებისგან გაათავისუფლებს. იძულებული იქნება, პოლიტპატიმრები ციხეებიდან გაათავისუფლოს და რუსეთთან მეგობრობის ენაზე ისაუბროს. ასევე უარი თქვას გაფეტიშებულ ლოზუნგზე: საქართველო ნატოში.

*— თქვენ შესახებ რამდენიმე წელი ძალიან ცოტა ისმოდა, დღეს რატომ გადაწყვიტეთ დიდ პოლიტიკაში დაბრუნება?*

— დღესდღეობით 4,5 მილიონი ქართველიდან მილიონ-ნახევარი საზღვარგარეთ ცხოვრობს. რუსეთში დაახლოებით მილიონ ორასი ათასი ადამიანი. ჩვენს მოძრაობას ამიტომაც ჰქვია — „საქართველო საზღვარგარეთ“. საქართველოს მთელ მოსახლეობას ემიგრანტები ინახავენ.

*— რა აზრი აქვს კიდევ ერთ ოპოზიციურ მოძრაობას? ისინი საქართველოშიც საკმარისად არიან, რუსეთშიც.*

— ჩვენი დიდი ქართული ნაციონალური ტრაგედია — გაერთიანების შეუძლებლობაა. ქართულ არმიაში ბრძანება „პირველი-მეორე“ საერთოდ არ არსებობს. ყველას უნდა, რომ პირველი იყოს. პოლიტიკაშიც ზუსტად ასეა. ვცდილობდი, რომ ქართველი საზოგადოებრივი გაერთიანებების ყველა ლიდერი ერთ მაგიდასთან დამესვა, მაგრამ ყველას შეკრება ვერ შევძელით. ზოგიერთ ჩვენს საზოგადოებრივ მოღვაწეს არ ესმის იმ ვითარების, რაც დღეს რუსეთის დიასპორის და თავად ქვეყნის შიგნით არის შექმნილი. დიდწილად ისინი ბიზნესიდან მოვიდნენ და მათ მენეჯერული მიდგომები აქვთ. ყველაფრისგან მოგების მიღება სურთ. რუსეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ნახევარი დღემდე დარწმუნებულია, რომ სააკაშვილმა ომში რუსეთი დაამარცხა. საჭიროა მათი დარწმუნება. ეს ჩვენი მთავარი ამოცანაა.

*— რა შეუძლია დღეს გააკეთოს რუსეთმა უბრალო და არცთუ უბრალო ქართველებისთვის, რათა შეასუსტოს ის ნეგატიური დამოკიდებულება, რაც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შეიქმნა?*

— ჩვენთვის მნიშვნელოვანია დიასპორას და რუსეთის ხელმძღვანელობას შორის ურთიერთქმედების სისტემის შექმნა, რაც მინიმუმამდე დაიყვანს იმ ნეგატიურ შედეგებს, რომლებიც აგვისტოს ომის შემდეგ



შეიქმნა. ვფიქრობ, შესაძლებელია ისეთი მექანიზმების შექმნა, რათა საზოგადოებრივი ორგანიზაციები რუსეთის ხელისუფლებას და დიასპორას შორის კომუნიკატორები გახდნენ.

*— მაგრამ თუ რუსეთში მცხოვრებ ქართველებს მეგობრობის ხელს გავუწვდით? მაგალითად, მათ რუსეთის მოქალაქეობას მივცემთ...*

— შეიძლება. იქნებ მოქალაქეობის მიღების დაჩქარებული წესი შეიქმნას? არ შეიძლება რუსეთის ხელმძღვანელობის წინაშე საკითხი ჯიქურად დავაყენოთ: ყველას მიეცითო მოქალაქეობა. მაგრამ შესაძლებელია შემოღებულ იქნეს მოკლევადიანი მექანიზმები მოქალაქეობის მიღებამდე. მაშინ მოქალაქე აქ ლეგალურად და მშვიდად იქნებოდა. მაგრამ ეს შესაბამისი შემოწმების შემდეგ უნდა მოხდეს.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

---

**მბოლო დროს მიხეილ სააკაშვილი უცხოურ გამოცემებს ხშირად აძლევს ინტერვიუებს და გასაოცარ განცხადებებსაც აკეთებს ხოლმე — ხან ბურების ჩამოსახლებაზე, ხან საქართველოში მოსახდენ მეტალურ რევოლუციაზე, ხანაც მის გრანდიოზულ თუ სხვადასხვა მიმართულებით მიღწეულ წარმატებებზე.**

**ამჯერად, სააკაშვილმა ერთ-ერთი უცხოური გამოცემის „ინდიფენდენტის“ კორესპონდენტს მისცა ინტერვიუ. ინტერვიუდან ირკვევა, რომ სააკაშვილისთვის დაკარგულ ტერიტორიებს ფასი არ ჰქონია. თურმე ნუ იტყვით და, მიწა, რომელიც რუსებმა წაგვართვეს, საიდანაც 550 ათასი ქართველი გამოდევნეს, რომლებმაც იქ სახლ-კარი და წინაპართა საფლავები დატოვეს, ქვა და კლდე ყოფილა და მას არავითარი ღირებულება არ ჰქონია.**

**— არ ვფიქრობ, რუსეთს რამენაირი ილუზიები ჰქონდეს იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენ მათ თავს ვესხმით. იმ ტერიტორიის დიდი ნაწილი, რომელიც მათ დაიპყრეს, ქვა და კლდეა. მისი ფასი ნულია, ხოლო ეს მიწა ფასეული მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუკი მას ჩვენზე თავდასხმისთვის გამოიყენებს, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.**

**როგორ აფასებს ქვეყნის პირველი პირის ამ განცხადებას პარლამენტის ყოფილი წევრი როინ ჯანაშია, რომელიც აფხაზეთიდან დევნილია და ომშიც იბრძოდა, ამის შესახებ მისი ინტერვიუდან შეიტყობთ.**

**გულიკო ბალა ე**

# რუსული ტანკების გასვლამდე აფხაზეთი ქვა და ღორღი იქნება მხოლოდ

*— ბატონო როინ, თქვენ რომ ნერვიულობთ ხოლმე, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის წართმევის, ჩვენი ძირძველი ქართული ტერიტორიების დაკარგვის გამო, ქვეყნის პირველი პირისთვის, მხოლოდ ქვა და კლდე ყოფილა და მას არავითარი ღირებულება არ ჰქონია...*

— ეს მე ტელევიზიიდან შევიტყვე...

*— დიახ, ამის შესახებ სააკაშვილმა უცხოური გამოცემის „ინდიფენდეტის“ კორესპონდენტთან ინტერვიუში განაცხადა. თქვენ რა აზრის ხართ, ქვეყნის პირველი პირის ამ განცხადებასთან დაკავშირებით?*

— პრეზიდენტს იმდენი ინფორმაცია აქვს და იმდენი მიმართულებით გააჩნია საბუთები, რა იგულისხმა, ჩემთვის სალაპარაკოდ რთულია. ჩემთვისაც, როგორც იქაური მაცხოვრებლისთვის, რომელსაც სახლი ჰქონდა იქ, იქ დაიბადა და ჩემი სული იქ არის...

*— წინაპრების საფლავებიც იქ გაქვთ, ხომ?*

— წინაპრების საფლავებიც იქ მაქვს და ყველა ჩემი ნათესავიც იქ ცხოვრობდა. ბაბუაჩემი და მისი წინაპრები, ყველა კოდორსა და ვარჩეში ცხოვრობდა. მე თვითონ კი სოხუმში ვცხოვრობდი. ჩემთვისაც ის მიწა, სანამ არ დაბრუნდება, ქვაა — არაფერს წარმოადგენს. ეს არის ჩემი გულის გახეთქვა და ჩემი სიკვდილი. როცა მახსენდება... სანამ საქართველოს არ ვიხილავ თავისუფალს, ქვა უთოვიაო, ხომ თქვა ჩვენმა ერთმა წინაპარმა...

*— ბატონო როინ, ალბათ, ახლა არ გინდათ, ასე პირდაპირ გააკრიტიკოთ სააკაშვილი და ამას იმიტომ ამბობთ.*

— საერთოდ, აფხაზეთთან დაკავშირებით პრეზიდენტს არ ვაკრიტიკებდი და არ გავაკრიტიკებ. ომი იმ გაიძვერა კაცმა წააგო.

*— ამბობს, ქვა და კლდეაო. ასეთი განცხადება, რბილად რომ ვთქვათ, მიუღებელია.*

— ეს განცხადება თქვენ როგორ გაიგეთ? პრეზიდენტმა რომ თქვა, ქვა და ღორღიაო, თქვენ რატომ მოგხვდათ გულში?

*— ბატონო როინ, გულში მომხვდა იმიტომ, რომ...*

— რატომ, რატომ? რა გაგებით მოგხვდათ გულში? აბა, სხვა რა არის ის ტერიტორია, რომელიც რუსეთს აქვს დაკავებული.

*— ქვეყნის პირველი პირისთვის ამ მიწას ფასი რომ არ აქვს, იმ გაგებით...*

— ფასი როგორ არ აქვს? სანამ აფხაზეთში რუსია, ის მიწა ჩვენთვის მართლა ქვაა, მეტი რა არის? ამ მიწის მიმართ ჯერ კიდევ არაფერი განსაზღვრული არ არის.

*— სააკაშვილი ამბობს, ტერიტორიის დიდი ნაწილი, რომელიც რუსებმა დაიპყრეს, ქვა და კლდეა და მისი ფასი ნულიაო. იმ მიწის ფასი ნულია?*

— ქვა და კლდეა, სანამ იმ მიწაზე რუსის ტანკი დგას. სანამ ამ მიწაზე რუსის შეიარაღება დგას, რაკეტებს აყენებენ, ქვა და კლდეა. მისი ფასი ნულის ტოლი კი არა, ნულზე ქვემოთაა ჩვენთვის...

*— ჩვენთვის ამ მიწას ნულის ფასი აქვს?*

— ნულის ფასი აქვს, სანამ ის საქართველოსი არ იქნება. ნულია ის ჩემთვის იმიტომ, რომ მე იმ მიწაზე ჩვენს მომხრეს ერთ კაცს არ ვხედავ. თქვენ არ იცით ეს, ქალბატონო გულიკო და მე რატომ მეკითხებით.

*— მოხრეს ხედავთ თუ არა, იმ მიწას (და ყველა მიწას, რომელიც ქართულია) ფასი ხომ აქვს ჩვენთვის?*

— თუ მოვიდა ჩვენთან, გადაიხადა და იყიდა, რაღაცა შეიძლება ღირდეს, მაგრამ მორალურად რა ფასი აქვს ჩემს მიწას, თუ ის ასე დარჩა? რა ფასი აქვს; ჯერჯერობით, იმ მიწას ჩემთვის უბედურების მეტი არაფერი მოუტანია. თქვენთვის რა ფასი აქვს ამ მიწას? იქ არის მტერი, რომელიც ყოველ დღე იარაღს გვიმიზნებს. ჩვენთვის ეს არის კლდე და ქვა, თუ ასე იგულისხმა. რა იგულისხმა პრეზიდენტმა არ ვიცი. პრეზიდენტი ძალიან გაბრაზებულია ამ საკითხის მიმართ. მხოლოდ პრეზიდენტზე არ არის ლაპარაკი, ყველა ქართველი, რომელსაც ნორმალური აზროვნება და გაგება აქვს, აფხაზეთის მიმართ ყველა გაბრაზებულია. ყველას უნდა, რამენაირად ხვალ-ზეგ დავიბრუნოთ, მაგრამ ასე არ მოხდება...

*— უკაცრავად. მე უბრალოდ თქვენი პოზიციის გამო ვეღარაფერს ვიტყვი... თქვენ როგორ გგონიათ, ამ მიწას ფასი როდის დაედება?*

— როცა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საქართველოსი იქნება, ფასიც მაშინ დაედება.

*— ეს მიწა როდის იქნება საქართველოსი? თუ ფასი არ აქვს, საქართველოსი როდის იქნება? ამ ტერიტორიებს ისეთი ფასი უნდა დავადოთ, რომ რუსეთს წასვლა ვაიძულოთ. თუ ამ მიწის ფასი ნულის ტოლია, ვისიც გინდა იმისი ყოფილა, რა მნიშვნელობა აქვს?*

— იცით, მე როგორ მესმის? მე არ ვიცი, რა იგულისხმა პრეზიდენტმა, ეს ჩემთვის სხვა საკითხია. ფასი რომ არ ჰქონოდა, აფხაზეთის მიწას ჩვენთვის, იქ იმდენ სისხლს არ დავღვრიდი. ჩვენთვის ეს სისხლის და ხორცია, საქართველოს განუყოფელი ნაწილია, საქართველოს სისხლი და ღვიძლია. დღეს ჩემს გულში მას ფასი არ აქვს. ფიზიკურად ამ მიწას არაფერი აზრი აქვს. როგორც საქართველოს ღვიძლი ადგილი, ესაა მისი ფასი და ჩვენც უნდა მოვიპოვოთ.

*— სააკაშვილმა, ამ ტერიტორიის ძალით დაბრუნებაზე ოფიციალურად უარი თქვა, რაც გასაგებია. ქვეყნის ხელისუფლება საკმარის მშვიდობიან მეთოდებს იყენებს, ამ მიწას რომ ფასი დაედოს?*

— ომის დამთავრებიდან პირველი ორი წლის შემდეგ კიდევ შეიძლებოდა ომით რაღაც გაგვეკეთებინა. მაშინ ეს საკითხი ასე მთლად გახმაურებული არ იყო. ახლა ვინც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, თუ ისე არ მოიქცევა, როგორც პრეზიდენტმა თქვა, რომ იქ მშვიდობიანი მეთოდების გარდა, რაიმე სხვა მეთოდების გამოყენებას აზრი არ აქვს.

*— მე სხვა რამ გკითხეთ — საკმარის მშვიდობიან მეთოდებს (დიპლომატიურ, ეკონომიკურ და სხვა) მიმართავს ხელისუფლება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დასაბრუნებლად? ამ კუთხით თქვენ რის გაკეთებას მიიჩნევთ საჭიროდ?*

— ამ მიწის მშვიდობიანი დაბრუნების საკმარისზე მეტი მეთოდები არსებობს მსოფლიოში, თუ ეს იქნა გამოყენებული. ჩვენ შეცდომა არ უნდა დავუშვათ და ყველა ზომას უნდა მივილოთ იმ მიმართულებით, რომელსაც მწვანე გზა აქვს. თუ ჩვენ ვინმემ მხარი დაგვიჭირა იმ დონეზე, რომ ამას მივაღწიოთ. სხვა გზა არ არსებობს. იარაღით მის დაბრუნებაზე არც არავინ არ უნდა იფიქროს. მე რომ მკითხოთ, საქართველო რანაირადაც არ უნდა მოიქცეს დღეს და ვინც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, ამ მიწის დაბრუნების გასაღები არავის ხელში არ უჭირავს. ეს არის პროცესი. დადგება მომენტი, როცა ეს მოხდება. ამის დაჩქარება შეიძლება, მაგრამ ჩვენზე დამოკიდებული არ არის. უბრალოდ ჩვენ უნდა გვეჭიროს ნორმალური, მშვიდობიანი პოზიცია.

*— სააკაშვილი ამტკიცებს, რომ საქართველო გრანდიოზულ წარმატებებს აღწევს თავისი პოზიციის დაცვისა და კავკასიაში გავლენის გავრცელების თვალსაზრისით. თქვენ თუ ამჩნევთ ამ წარმატებებს და თუ შეგიძლიათ გვითხრათ, რა წარმატებებია ეს?*

— თქვენ იცით, რომ მე არასოდეს არც ერთ ხელისუფლებაჭე არ ვგიჟდებოდი. არც სააკაშვილზე ვგიჟდები. ეს ქვეყანა რომ წინ მიდის, ამაში მეორე აზრი არ არსებობს.

*— მე, მაგალითად, ვერ ვხედები, სააკაშვილი რაზე საუბრობს, რა გრანდიოზულ წარმატებებს მიაღწია საქარველომ თავისი პოზიციის დაცვის საკითხში? როცა პოზიციის დაცვაზეა საუბარი, ალბათ იგულისხმება ქვეყნის საზღვრების დაცვა, ტერიტორიების დაცვა, მოქალაქეების დაცვა...*

— წარმატებაში ტერიტორიების დაბრუნება არ იგულისხმება. წარმატება ის არის, რომ ქართველი ხალხი და მისი პოლიტიკური მოღვაწეობა დღევანდელ პირობებში საერთაშორისო ორგანიზაციებში დადებითადაა შეფასებული. მართალიცაა, რადგან ჩვენ არავის ვებრძვით. ჩვენ თავს ვიცავდით, თავი უნდა დავიცვათ. რატომ არ უნდა იყოს წარმატებული? ქვეყანაში არც მიწის ქვევით და არც მიწის ზევით შევარდნაძის დროს წინსვლა არ გვქონია. ჯერ ქვეყანა უნდა აშენდეს. სანამ ქვეყანას არ გააშენებ, ხალხს ცოტა მოშივდება. ცოტა ხანი შიმშილის მოთმენა უნდა.

*— შევარდნაძე უვარგისი რომ იყო და კარგი არ იყო, იმიტომ უთხრეს, წადიო...*

— „უვარგისი“ და „კარგი არ იყო“, ეს სიტყვები არ კმარა. საქართველოს ტერიტორიის 20% შევარდნაძის დროს დაიკარგა. ამბობენ, გაუფორმესო. რუსებს მისი გაფორმება ადრეც შეეძლოთ.

*— სააკაშვილმა გაუფორმა.*

— ტერიტორიები სააკაშვილმა კი არ გაუფორმა, რუსეთს როცა უნდოდა, მაშინ გაიფორმებდა. 2008 წლის აგვისტოში ამისთვის უფრო ხელსაყრელი მომენტი დადგა. თქვა, ომი მისი დაწყებულია, ეს იმიტომ გავაკეთეო და ამით გაიფორმა, თორემ იქ ჩვენ რა ძალაუფლება გვქონდა. არ მინდა დავაბრალო. შეიძლება იქ რაღაც შეცდომა იყო და იმ შეცდომას მიაკერა თავისი შეცდომა, მაგრამ ეს ტერიტორიები დაკარგული იყო.

# გია თორთლაძემ ფოტოგამოფენა მოაწყო



საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმში პარლამენტის წევრმა გია თორთლაძემ ფოტოგამოფენა მოაწყო სახელწოდებით „დიდი მიქსი“.

გამოფენაზე წარმოდგენილია არქეოლოგისა და მეცნიერებათა დოქტორის, ფოტოგრაფის გია თორთლაძის მიერ სხვადასხვა ექსპედიციებსა და მოგზაურობებში გადაღებული ფოტოები — აფრიკაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, ტიბეტში, ტაილანდში, ინდოეთში, ჩინეთსა და იაპონიაში.

გია თორთლაძე მრავალმხრივი შემოქმედებითი ინტერესების მქონე მოგზაურია. იგი ავტორია დოკუმენტური კინოსერიალისა „საქართველოს მთამსვლელთა ქრონიკები“ და დოკუმენტური ფილმების „ნეპალ-ტიბეტი“, „ჩო-ოიუ-შიშა პანგმა“, „ანდები“, „კილიმანჯარო“, „ევერესტი“, „ბაი ჩე ჩე კეი“, „ევერესტი“, „პირინეები“, „მანასლუ.

გამოფენის იდეაც ამ ადგილების დალაშქვრის შედეგად გაჩნდა. „დიდი მიქსი“ გულისხმობს არა მხოლოდ ლანდშაფტისა და ზოგადად გეოგრაფიული ადგილების ფიქსირებას, არამედ ასახავს მოსახლეობის ყოფას ჩვენთვის სრულიად უცნობ გარემოში. წარმოდგენილი ფოტოების საშუალებით გამოფენაზე მისული დამთვალიერებელი ნახავს გარემოსა და ადამიანთა საცხოვრისს, დანახულს გია თორთლაძის თვალით, მსოფლიოს მიუწვდომელ წერტილებში, დაფიქსირებულს ემოციაში, მოძრაობაში, უჩვეულო სივრცეში და სხვადასხვა დროში.

გია თორთლაძის მიერ გადაღებული ფოტოების გამოფენა თბილისის ისტორიის მუზეუმში 7 მარტამდე გაგრძელდება.

# ეროვნულმა არქივმა ისტორიული დოკუმენტები შეიძინა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივმა კერძო პირისაგან შეიძინა 1838-1919 წლების 51 ხელნაწერი დოკუმენტი და ნაბეჭდი წიგნი „დავითნი“, რომელიც საისტორიო ცენტრალური არქივის საცავში დაიდებს ბინას.

„დავითნი“ გამოცემულია 1850 წელს და დაბეჭდილია ნუსხური დამწერლობით. წიგნი შედგება 442 ფურცლისგან, აქვს ტყავგადაკრული ხის ყდა. „დავითნი“ ეკუთვნოდა წევის წმინდა გიორგის ეკლესიის დეკანოზ მაკარ გაჩეჩილაძეს.

რაც შეეხება ხელნაწერ დოკუმენტებს, მათი უმეტესობა სამაჩაბლოს, კერძოდ, ცხინვალისა და მას დაქვემდებარებული სოფლების ისტორიას ახასავს. დოკუმენტების ნაწილი შეეხება თავად მაჩაბლებისა და აზნაურ ჯაფარიძეების ქონებრივ მდგომარეობას.

მნიშვნელოვანია 1891 წელს გაცემული საბუთი, რომელიც ეხება სოფელ თამარაშენში მცხოვრებლებიდან ყარაულების გამოყვანასა და გზებზე დაყენებას. საბუთებს შორისაა 1879 წლის განაჩენი ცხინვალის მცხოვრებლებს შორის ვენახისა და მიწების განაწილების შესახებ.

გარდა სამაჩაბლოს სოფლებისა, დოკუმენტებში მოხსენიებულია იმერეთისა და ხაშურის სოფლების მცხოვრებთა წყალობის, ნასყიდობის, პირობის, გაყრის, გარიგების, ვალის წიგნები და თამასუქები. ასევე დოკუმენტების მცირე ნაწილი მოიცავს პირად წერილებს. 1857 წელს ვინმე მორჩილი სწერს თავის მშობლებს და ატყობინებს თავის ამბებს.

6 დოკუმენტი დაწერილია რუსულ ენაზე და ასახავს სასამართლო გადაწყვეტილებებს.ხელნაწერი დოკუმენტები დაზიანებული იყო და ყველა მათგანს უკვე ჩაუტარდა რესტავრაცია. ახლად შეძენილი დოკუმენტები კიდევ უფრო გაამდიდრებს საისტორიო ცენტრალური არქივის ძველ საბუთთა განყოფილებაში დაცულ მდიდარ მასალას სამაჩაბლოსა და მაჩაბლების შესახებ.

# ქართველი ექსპერტები ტაო-კლარჯეთში გაემგზავრნენ



კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ნიკოლოზ ვაჩეიშვილის ინიციატივით, კულტურული მემკვიდრეობის სფეროს სპეციალისტები ისტორიულ ტაო-კლარჯეთში გაემგზავრნენ. ღონისძიება თურქეთ-საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში ტარდება. ექსპედიციის ორგანიზატორი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოა.

ექსპედიციაში შედიან თბილისსა და ბათუმში მოღვაწე ძეგლთა დამცველი ექსპერტები. ისინი უშუალოდ შეაფასებენ იშხნისა და ოშკის არქიტექტურული კომპლექსების უმძიმეს მდგომარეობას და პროცესებს, რომელიც დღემდე მოღწეულ ისტორიულ სიძველეებს ანადგურებს.

ექსპედიციის მიზანია, ისტორიული ტაო-კლარჯეთის, იქ არსებული უნიკალური სამონასტრო კომპლექსების მნიშვნელობისა და მათი ფიზიკური მდგომარეობის შესახებ საზოგადოების მეტი ინფორმირება.

**ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი:**

— აუცილებელია ისევ დადასტურდეს, თუ რამდენად სავალალო მდგომარეობაშია იშხნისა და ოშკის უნიკალური არქიტექტურული კომპლექსები. ჩვენ ადგილზე ჩავალთ და ვნახავთ იმ ძეგლებს, რომელთა რეაბილიტაციაც უახლოეს მომავალშია დაგეგმილი. თუკი ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე არსებული ჩვენი ძეგლების გადარჩენა მოხერხდება, ეს იქნება საუკუნის პროექტი.

— ***რამდენი ხნით მიდიხართ ტაო-კლარჯეთში?***

— ეს არის ორდღიანი ვიზიტი ტაო-კლარჯეთში, სადაც მოვაგროვებთ დეტალურ ინფორმაციას ჩვენი ძეგლების მდგომარეობის შესახებ და საქართველოში ჩამოსვლისთანავე დაინტერესებულ საზოგადოებას დაწვრილებით გავაცნობთ.

# საბალეტო დასი ტაივანში მიდის

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასი ნინო ანანიაშვილის ხელმძღვანელობით საგასტროლოდ ტაივანში მიემგზავრება. საგასტროლო პროგრამაშია ორი კლასიკური ბალეტი — ადანის „ჟიზელი“ და ჩაიკოვსკის „გედების ტბა“.

ტაივანში დაგეგმილ საგასტროლო სპექტაკლებზე მთავარ პარტიებს დასის სოლისტებთან ერთად პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი იცეკვებს. ქართულ საბალეტო დასთან ერთად გასტროლებში მონაწილეობას მიიღებენ ინგლისის სამეფო ბალეტის პრემიერი დავით მახათელი და მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი კარიმ აბდულინი.

მსოფლიო საბალეტო ვარსკვლავების გამოსვლები ჩვენს მოცეკვავეებთან ერთად ტრადიციად იქცა. გასტროლები ტაივანის რამდენიმე ქალაქში — ტაოუანში, ტაიპეისა და იუნლინში გაიმართება. საბალეტო დასი თბილისში 14 მარტს დაბრუნდება.

# მეცნიერები ბრიტანეთის ბიბლიოთეკასთან ითანამშრომლებენ



დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაპუნა დავითაია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს ესტუმრა და იქ შეკრებილ მეცნიერებს ბრიტანეთის ბიბლიოთეკასთან გაფორმებული მემორანდუმი გააცნო. პაატა დავითაიას მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი ქართველ მკვლევრებს ახალ და უნიკალურ შესაძლებლობებს უხსნის.

ორ მხარეს შორის წარმოებული მოლაპარაკების შედეგად ბრიტანული ბიბლიოთეკის ფონდებსა და საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებებში დაცული მასალების გამოყენებით შესაძლებელი იქნება ქართული კულტურისა და მემკვიდრეობის დოკუმენტირება და შესწავლა, რაც საკატალოგო ინფორმაციის გავრცელებას, ინიციატივების ხელმისაწვდომობასა და ორიგინალურ სამეცნიერო კვლევას გულისხმობს.

როგორც შეხვედრაზე მისულმა ქართველმა მეცნიერებმა აღნიშნეს, ეს მემორანდუმი მათ საშუალებას მისცემს, დიდ ბრიტანეთში დაცული უნიკალური ხელნაწერები გააცნოს. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელ ბუბა კუდავას აზრით კი პაპუნა დავითაიას მიერ გაფორმებული მემორანდუმი ქართულ მეცნიერებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია.

სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში პაპუნა დავითაია ცენტრში ვიზიტისას გაეცნო უძველეს ქართულ ხელნაწერებს, ისტორიულ დოკუმენტებსა და საზოგადო მოღვაწეთა პირად არქივებს.

**ბუბა კუდავა, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი:**

— დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ დადებული მემორანდუმი ბრიტანულ ბიბლიოთეკასთან ქართველი მეცნიერებისთვის არის უნიკალური საშუალება იქ დაცული ქართული კოლექციების უკეთ გაცნობისა და შესწავლისათვის. ქართველ მეცნიერებს ეძლევათ შანსი, გააკეთონ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამეცნიერო კატალოგი.

**პაპუნა დავითაია, სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში:**

— ლონდონში საკმაოდ მნიშვნელოვანი ხელნაწერებია დაცული, რომლებიც შუა საუკუნეებით არის დათარიღებული. მათი ნაწილი იერუსალიმიდან არის, ნაწილი კი სხვადასხვა ქვეყნებიდანაა შეგროვილი.

— ***რას ითვალისწინებს ეს მემორანდუმი?***

— ამ მემორანდუმის მიხედვით ჩვენ ქართველ მეცნიერებს ვაძლევთ საშუალებას, ეს ხელნაწერები მათთვის ხელმისაწვდომი გახდეს. ბრიტიშ ლაიბრერი აკეთებს მაღალსკანირებულ ასლს, რომელიც უახლოეს მომავალში ქართულ მხარეს გადმოეცემა.

# სუხიშვილები „ნოსტალგიას“ უბრუნდებიან

„თბილისი ართ ჰოლში“ სუხიშვილების ნაციონალური ბალეტი 18 თებერვალს კონცერტს გამართავს სახელწოდებით „ნოსტალგია“, რომელიც ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის მიერ დადგმული ცეკვებით იქნება წარმოდგენილი.

„ნოსტალგიაში“ ახალი თაობის მოცეკვავეები ძველ პროგრამას სრული დატვირთვით იცეკვებენ. ანსამბლი რეპეტიციებს აქტიურად გადის. „სუხიშვილების“ თაყვანისმცემლები დიდი ილიკოსა და ნინოს მიერ დადგმულ ლეგენდარულ ცეკვებს განახლებული სახით იხილავენ. მთლიანობაში „თბილისი ართ ჰოლში“ 18 ცეკვა იქნება წარმოდგენილი. კლასიკად ქცეული ცეკვები მთლიანად ახალი თაობის მოცეკვავეების მიერ შესრულდება.

8-წლიანი პაუზის შემდეგ „თბილისი ართ ჰოლში“ გამართული კონცერტი მხოლოდ ძველი პროგრამით იქნება შედგენილი და მასში არც ერთი ახალი ცეკვა არ შესრულდება. როგორც „სუხიშვილებში“ „ახალ თაობას“ განუცხადეს, ეს ცეკვები სრულდება იმ მაყურებლისთვის, რომელსაც კლასიკად ქცეული დიდი ნინოსა და ილიკოს მიერ დადგმული ცეკვები განსაკუთრებულად მოენატრა.

მიუხედავად იმისა, რომ ანსამბლი გასტროლებისთვის აქტიურად ემზადება, მისთვის უპირველესი მაყურებელი ქართველი მაყურებელია, ამიტომ ანსამბლის ხელმძღვანელობა ცდილობს, ქართული ცეკვით განცდილი უდიდესი სიამოვნება სწორედ ქართველ საზოგადოებას მიანიჭოს.

**გვერდი მოამზადა ეკა ირემაშვილმა**





**მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.**
**შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.**

**დარეკეთ!**

**მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607**

**ახალი ქსელები 700 608**

**გაერთიანებული ტელეკომი 608 608**



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ **სწრაფი გადახდის აპარატები**

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

**ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.**

## განცხადებები

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერბშტადტი“. ფასი შეთანხმებით. ტელ: თენგიზი; 899-97-37-72 ნარგიზი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● გარანტიით, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას, ნევრიტს, ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებასა და სხვ. პაციენტი გადაიხდის მისი შესაძლებლობის მიხედვით. მის: თბილისი, დ.ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი, რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899-97-85-46; 53-44-39.

**ნათელმხილველი მანანა**
**იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, ადგენს უიღბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბარაქაზე, ბედის გახსნაზე, წარმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნევროზის განკურნება.**
**მიღება წინასწარი შეთანხმებით!**
**მის.: მეტრო „ავლაბართან", მახათის შესახვევი N6. ტელ: 897-29-27-50.**

# გოგიტა გოგუა: „ბარსელონას“ თამაში თეატრალურ წარმოდგენას ჰგავს“

**საქართველოს ნაკრებისა და ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგის“ ნახევარმცველი, გოგიტა გოგუა, გუნდის მეორე და მესამე შეკრების წინ ძირითადად ვიზის გაფორმებითა და ნიჟნი ნოვგოროდში საყოფაცხოვრებო საქმეებით იყო დაკავებული, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, იქაურ ჟურნალისტებს გასაუბრებოდა.**

— *რატომ გადაწყვიტეთ კლუბის გამოცვლა და „ვოლგაში“ თამაში?*

— გასული სეზონის დამთავრებისთანავე დამიმთავრდა კონტრაქტი ნალჩიკის „სპარტაკთან“. სწორედ ამ დროს „ვოლგამ“ წინადადებით მომმართა. ხანმოკლე ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, ჩემი საქმიანობა ნიჟნინოვგოროდული კლუბისთვის დამეკავშირებინა.

— *„ვოლგასთან“ ერთად ორი შეკრება უკვე გაიარეთ, მაგრამ ხშირად არ იყავით თანაგუნდელებთან ერთად. ეს რითი იყო გამოწვეული?*

— მართალია. სრულყოფილი შეკრების გავლა ვერ მოვასწარი. ჯერ საბუთები იყო მოსაგვარებელი, შემდეგ საქართველოს ნაკრებში სათამაშოდ გავემგზავრე და სომხებთან ამხანაგურ მატჩში ვითამაშე.

— *რა შეფასებას მისცემდით სომხებთან ჩატარებულ მატჩს?*

— ნაკრების ფეხბურთელთა უმეტესობა მძიმე დატვირთვების ქვეშ გამოცხადდა. ამიტომაც მატჩის ჩატარება, ფაქტობრივად, ორი შემადგენლობით მოგვიხდა. მთლიანობაში ნორმალურად ვითამაშეთ. მოგებამ კი განწყობა უფრო აგვიმაღლა. მინდა გითხრათ, რომ თემურ ქეცბაიას მთავარ მწვრთნელად მოსვლის შემდეგ სულ უფრო და უფრო კარგად ვთამაშობთ. წაუგებელი სერია უკვე 9 მატჩამდე ავიყვანეთ, რაც იმის თქმის საფუძველს მაძლევს, რომ საქართველოს ნაკრები პროგრესირებს.

— *„ვოლგასთან“ შეკრებებზე ყველაზე დასამახსოვრებელი რა იყო?*

— პირველ შეკრებაზე მოსკოვში ჩავედი, სასტუმროში ჩემი ოთახის კარი გავაღე და ბენძი დავინახე. კიდევ შენ ხარ? სად დაგემალო, აღარ ვიცი, ვუთხარი და დიდხანს ვიცინეთ — ჩვენ ერთად ვთამაშობდით გროზნოს „ტერეკში“.

— *ახალ მწვრთნელთან მუშაობას როგორ შეაფასებთ?*

— ომარ მიხაილოვიჩის (თეთრაძე) ვარჯიშები ძალიან დინამიკურია, ხოლო მისი შეხედულება ფეხბურთზე სულ სხვა თემაა. საკონტროლო მატჩების წინაც კი ძალიან ნაყოფიერი გარჩევა მიდის. ერთი შეხედვითაც აღმოაჩენთ, რომ თეთრაძეს დიდებული საფეხბურთო სკოლა აქვს გავლილი და მაღალ დონეზე უთამაშია. სწორედ ამ გამოცდილებას გადმოგვცემს ყველა ვარჯიშზე, გვასწავლის უნივერსალური ფეხბურთის ენას. ყველაფერთან ერთად, თეთრაძეს შეუძლია, უდიდესი მოტივაციით დაგმუხტოს. ამასთან, „ვოლგაში“ მუშაობს სერგეი ტრუბიცინი, რომელსაც



ნალჩიკიდან ვიცნობ.

— *შეკრებებზე „ვოლგამ“ საკონტროლო მატჩები უცხოურ კლუბებთან ითამაშა. არის რამე განსხვავება რუსულ კლუბებსა და მათ შორის?*

— ევროპულ კლუბებთან თამაში უფრო ხისტია. ამასთან, რუსულ კლუბებს უკვე კარგად ვიცნობთ. საწყენია, რომ თებერვლის შეკრების ბოლოს საკონტროლო მატჩებში ვერ ვითამაშე. იმედი მაქვს, ესპანეთში პირველიდან ბოლო დღემდე სრულად დავიტვირთები.

— *რას ელით მომავალი ჩემპიონატისგან?*

— როდესაც გუნდი პირველი დივიზიონიდან ელიტაში ადის, თავიდან ადაპტირება უჭირს, რადგან იქ უკვე სხვა რიტმია, რომელსაც ელიტური ტურნირი კარნახობს. ამიტომ, ჩვენი უმთავრესი ამოცანაა, პირველი ტურიდან მზად ვიყოთ ახალი გამოცდისთვის, რადგან ბევრი ადაპტაციას შუა სეზონში გადის, რაც შესაძლოა დაგვიანებული აღმოჩნდეს.

— *ახალი ჩემპიონატი ახალი ფორმატით ჩატარდება. როგორია თქვენი აზრი ამასთან დაკავშირებით?*

— რადგან ასე გადაწყვიტეს, ასე მოგვიწევს თამაში. ჩემი აზრით, ამ ფორმატით ჩატარებული ჩემპიონატი უფრო ამოუცნობი იქნება. რაც შეეხება წელიწადში ერთ სატრანსფერო სეზონს, ეს თავსატეხს მწვრთნელებს გაუჩენს — გუნდის გასაძლიერებლად 2 „ფანჯარა“ მაინც არის საჭირო.

— *რამდენად პრინციპული იქნება თქვენი დაპირისპირება ნალჩიკის „სპარტაკთან“ ან მოსკოვის „ლოკომოტივთან“, რომელსაც თქვენი ყოფილი მწვრთნელი იური კრასნოჟანი წვრთნის?*

— კრასნოჟანი ჩემთვის ისეთივე მწვრთნელია, როგორიც სხვები. ნალჩიკისთვის მან ძალიან ბევრი გააკეთა და ეს უნდა ვაღიაროთ. თუმცა, მხოლოდ მწვრთნელი ვერაფერს გააკეთებდა ფეხბურთელების გარეშე. „ლოკომოტივთან“ მატჩები ჩემთვის ისეთივე საინტერესო იქნება, როგორც სხვა ტოპ-კლუბებთან. ნალჩიკელებთან მატჩები კი უფრო პრინციპული იქნება. იქაური გულშემატკივრები ძალიან კარგად მეპყრობოდნენ და ნაცნობ სტადიონზე თამაშს სიამოვნებით ველოდები.

— *ხელში სპორტული გაზეთის ახალი ნომერი გიჭირავთ. ალბათ, გაკვირვებული ხართ „ანჟიში“ რობერტო კარლოსის გადასვლით.*

— სიმართლე გითხრათ, ჯერ კიდევ არ მჯერა. კაცი მადრიდის „რეალში“ თამაშობდა და, როგორც ჩანს, კარიერას მახაჩყალაში დაასრულებს. ბედი უცნაური რამ არის. თუმცა, ეს ტრანსფერი ამტკიცებს, რომ რუსული ფეხბურთი ვითარდება. რუუდ გულიტი „ტერეკს“ გაწვრთნის და ეს ძალიან კარგია. ასეთი სპეციალისტების მიწვევა ფეხბურთის განვითარებისთვის არის კარგი. ამასთან, შესანიშნავი პიარ-აქციაა.

— *თქვენი აზრით, „ვოლგას“ სჭირდება ასეთი ვარსკვლავი?*

— ასეთი ფეხბურთელი დიდი იმპულსია. შესაძლებლობა რომ იყოს, „ვოლგასაც“ გამოადგებოდა ასეთი ვარსკვლავი.

— *ვიცით, რომ „ვოლგას“ შემტევი ოთარ მარცვალაძე „ბარსელონას“ გულშემატკივრობს. თქვენ?*

— მარცვალაძის გემოვნებას გავიყოფ. როგორ შეიძლება, ადამიანი „ბარსას“ გულშემატკივარი არ იყო. ისინი ხომ ფეხბურთს კი არ თამაშობენ, არამედ ხელოვნებას აჩვენებენ. მათი მატჩები თეატრალურ წარმოდგენებს ჰგავს.

— *რას ეტყოდით „ვოლგას“ გულშემატკივრებს პირველი ისტორიული სეზონის წინ?*

— ჩემპიონატისთვის სერიოზულად ვემზადებით. ვფიქრობ, გულშემატკივრები შეაფასებენ ჩვენს მუშაობას. ძალიან მინდა, ისინი გვერდით მხოლოდ მაშინ კი არ დაგვიდგნენ, როდესაც ვიგებთ, არამედ, მარცხიც ჩვენთან ერთად გაიზიარონ. ერთად მეტ წინააღმდეგობას გადავლახავთ.

# ლონდონელი არსენა ქულებს მდიდრებს ართმევს

**ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური მატჩების მეორე დღე არანაკლებ საინტერესო გამოდგა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ორივე მატჩში ფავორიტად მიჩნეულმა წყვილებმა მარცხი განიცადეს.**

**არსენალი — ბარსელონა 2:1**

0:1 ვილია (26), 1:1 ვან პერსი (78), 2:1 არშავინი (83)

**არსენალი:** შესნი, ებუე, კოჩელნი, ჯურუ, კლიში, სონგი (არშავინი 68), უილშირი, უოლკოტი (ბენდტნერი 77), ფაბრეგასი, ნასრი, ვან პერსი

**ბარსელონა:** ვალდესი, ალვეში, პიკე, აბიდალი, მაქსველი, ბუსკეტსი, ხავი, ინიესტა (ადრიანო 89), პედრო, ვილია (კეიტა 68), მესი

ცხადია, „ბარსელონა“ ვისაც არ უნდა ეთამაშებოდეს, წყვილის ფავორიტად მიიჩნევა. ასე იყო ამ შემთხვევაშიც, იმის მიუხედავად, რომ კატალონიელები ლონდონს სტუმრობდნენ.

„ბარსა“ თავიდანვე ჩვეულად შეუდგა საქმეს — დააწესა ბურთზე კონტროლი და ტერიტორიასაც დაეუფლა. თუმცა, „არსენალი“ შეეცადა, არ დამსგავსებოდა „ბარსელონას“ მიერ დაბრიყვებულ მეტოქეებს და კატალონიელებს მჭიდრო და ხისტი პრესინგი შესთავაზა. არსენ ვენგერი ამ ტაქტიკით შეეცადა, მეტოქისთვის ის სივრცეები შეეზღუდა, რასაც ასე კარგად იყენებს „ბარსელონა“. ამასთან, ვენგერი თავისი ფეხმარდი გარემარბების იმედზეც იყო და ცდილობდა, კონტრშეტევებზე შეეწუხებინა მეტოქე.

ვენგერის ტაქტიკის შედეგი იყო, რომ პირველი ხიფათი სწორედ კატალონიელთა კართან შეიქმნა — სესკ ფარგასმა შესანიშნავად გადაკიდა ბურთი მეტოქის მცველების ზურგს უკან და პირდაპირ ფეხზე დაასვა რობინ ვან პერსის, რომელმაც მახვილი კუთხიდან მძლავრად კი დაარტყა, მაგრამ ვიქტორ ვალდესმა ბურთი უკუაგდო.

„ბარსელონამ“ მიიღო მეტოქის გამოწვევა და მოედნის ცენტრის ხელში ჩასაგდებად ბრძოლა გააჩაღა. გუნდები ერთმანეთს არაფერს უთმობდნენ და აქტიური თამაშის წყალობით ხშირად უჭრიდნენ ერთმანეთს შეტევებს.

ასეთ შემხვედრ ბრძოლაში ბურთი უფრო ხშირად მაინც კატალონიელებს ჰქონდათ და ხანდახან იმდენ პასს აკეთებდნენ ერთმანეთში, რომ „არსენალის“ ფეხბურთელები სტატისტების როლში გვევლინებოდნენ. ერთია, ეს ყველაფერი მოედნის ცენტრში ხდებოდა, თუმცა, როდის აფეთქდებოდა „ბარსა“, არავინ იცოდა.

ესეც მალე მოხდა. ჯერ თანაგუნდელებმა ლეო მესი მეკარეს პირისპირ შეჰყარეს, მაგრამ არგენტინელი ფეხბურთელის ტექნიკურად დარტყმული ბურთი ოდნავ ასცდა კარს. მალევე მესიმ შესანიშნავი პასი გაუკეთა დავიდ ვილიას, რომელიც მეკარესთან პირისპირ დარჩა და მშვიდად გაიტანა — 1:0. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მომენტში პოზიციურად შეცდა გაელ კლიში, რომელიც დაცვის სიღრმეში ჩარჩა და დანარჩენი მცველების ქმედება, ესპანელი შემტევი თამაშგარე მდგომარეობაში დაეტოვებინა, უშედეგო აღმოჩნდა.

როდესაც „ბარსელონას“ გააქვს, მაშინ უფრო საშიში ხდება და მეტოქე უფრო იბნევა. ამ დღეში აღმოჩნდა „არსენალიც“. ჯერ პედროს შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ მისი დარტყმული მეკარემ გამოიცნო, შემდეგ გოლი მაინც გავიდა, მაგრამ მსაჯმა მესის თამაშგარე მდგომარეობა დაუფიქსირა.

„არსენალი“ კი მაინც არ ტყდებოდა და თამამად თამაშობდა, რაც კატალონიელებს მეტ შანსს აძლევდა, მაგრამ ვენგერის შეგირდები უკან მაინც არ იხევდნენ. ამის მიუხედავად, მიმზიდველ პირველ ტაიმში მეტი გოლი არ გასულა.

მეორე ტაიმი მოულოდნელად აგრესიულად დაიწყეს მასპინძლებმა. ერთია, ამ აგრესიულობას ჯეკ უილშირისა და ფაბრეგასის შორეული გასროლები მოჰყვა, რომელიც პირდაპირ ხელში მისდიოდა ვალდესს და ისევ, როგორც პირველ ტაიმში, „ბარსელონამ“ ხელთ იგდო მოედნის ცენტრი, მაგრამ მათ გასაოცარ თავდასხმას იოლად უმკლავდებოდა მოძრავი „არსენალის“ დაცვა. კატალონიელები მშვიდად აგრძელებდნენ ბურთის გათამაშებას, რადგან მათთვის სასურველი შედეგისთვის დრო თანდათან იწურებოდა. კატალონიელებისთვის განგაშის ზარმა მაშინ შემოჰკრა, როდესაც მესიმ ისე გაუშვა ხელიდან ურეალურესი მომენტი.

უკვე მაშინ, როდესაც ყველას მატჩის ბედი გადაწყვეტილი ეგონა, კლიშმა ბურთი საჯარიმოში ჩაუგდო ვან პერსის, რომელიც თითქმის „მკვდარი“ კუთხით იდგა კარისკენ, მაგრამ მაინც გადაწყვიტა, დაერტყა — ვალდესმა უხეში შეცდომა დაუშვა — 1:1.

„ბარსელონა“ გონს ვერ მოსულიყო, რომ „არსენალმა“ მორიგი სწრაფი კონტრშეტევა განახორციელა, სამირ ნასრი კარგად გაერკვა სიტუაციაში და ბურთი მარტო მდგომ ანდრეი არშავინს გადააწოდა, რომელმაც ზუსტად დაარტყა — 2:1. ეს იყო მართლაც მოულოდნელი შემობრუნება.

მატჩის ბოლოს მესისა და დანი ალვეშს შეეძლოთ, ანგარიში გაეთანაბრებინათ, მაგრამ „არსენალმა“ მედგრად დაიცვა თავი და შემდეგ ეტაპზე გასვლის მცირე შანსი მაინც შეინარჩუნა.

**მატჩის საუკეთესო მოთამაშე:** სამირ ნასრი

ფრანგი ფეხბურთელის თამაში საეჭვო იყო, მაგრამ გუნდის საჭიროებისთვის მაინც მოახერხა მოედანზე გასვლა და ძალიან პროდუქტიულად გაისარჯა. შეტევებში აქტიური იყო, დაცვაშიც უნარიანად ეხმარებოდა თანაგუნდელებს და მის რეიდს მოჰყვა გამარჯვების გოლი.

**რომა — შახტარი 2:3**

1:0 პეროტა (28), 1:1 ჟადსონი (29), 1:2 დუგლას კოსტა (36), 1:3 ადრიანო (41), 2:3 მენეზი (61)

**რომა:** დონი, კასეტი, ბურდისო, მექსეში, რიისე (კასტელინი 46), ტადეი, დე როსი, მენეზი, პეროტა, ტოტი, ვუჩინიჩი (ბორიელო 68)

**შახტარი:** პიატოვი, სრნა, ჩიგრინსკი, რაკიცკი, რაცი, გიუბშმანი, მხითარიანი (ვიცენეცი 78), დუგლას კოსტა (ედუარდო 66), ჟადსონი (ტეიშეირა 86), ვილიანი

მე-6 ცდა დასჭირდა დონეცკის „შახტარს“, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი გადაელახა და პირველივე მატჩი პლეი-ოფში თავის სასარგებლოდ დაასრულა. ამასთან, სადმე კი არა, რომში მოიგო.

მატჩი, რომელიც საკმაოდ უხვგოლიანი გამოდგა, მშვიდად დაიწყო. უპირატესობა არც ერთ გუნდს არ ჰქონია, მაგრამ იტალიელებმა თანდათან მოუმატეს და უფრო აქტიურები ჩანდნენ. ეს სადღაც პირველი ტაიმის შუაში მოხდა — ფრანჩესკო ტოტის ჩაწოდებულს თავი ნიკოლას ბურდისომ დაჰკრა, მაგრამ მიზანმა ოდნავ დააღალატა, თუმცა, მალე გოლიც გავიდა, რაც იმ მომენტში ლოგიკურიც იყო.

ტოტიმ კუთხურიდან დანიელე დე როსი მოძებნა, რომელმაც, თავის მხრივ, როდრიგო ტადეის გადააწოდა, მის საჯარიმოში ჩაწოდებულს თავი სიმონე პეროტამ დაჰკრა და ბურთი რაზვან რაცის გავლით კარში აღმოჩნდა.

„სტადიო ოლიმპიკოს“ ზეიმი ერთ წუთსაც არ გაგრძელებულა — სტუმრებმა პირველივე შეტევაში გაათანაბრეს. დონეცკლეთან ჟადსონმა იხეირა, თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ რიკოშეტი (ბურთი დე როსის მოხვდა) ამჯერად უკრაინელებს დაეხმარა.

სამაგიეროდ, 5 წუთში „შახტარმა“ მეორე გოლი გაიტანა და ამჯერად ყველაფერი დუგლას კოსტამ შეასრულა — ბრაზილიელმა ცენტრიდან ჩაირბინა საჯარიმომდე, ბურთი დასარტყმელად გაისწორა და მეკარისთვის მიუწვდომელი ტრაექტორიით დაარტყა — 1:2.

დუგლასმა მესამე გოლშიც მიიღო მონაწილეობა, რომელიც ტაიმის დასრულებამდე 4 წუთით ადრე გავიდა, ამჯერად მის პასს ადრიანო გამოეხმაურა — 1:3 და ნათელი გახდა, რომ უკრაინელებმა დიდი ნაბიჯი გადადგეს მეოთხედფინალისკენ.

მეორე ტაიმი ნერვულად დაიწყო. რომაელები ხვდებოდნენ, რომ უკანდასახევი გზა აღარ ჰქონდათ და ეს ყველაფერი თავად „გამოიწერეს“. მათ სასწრაფოდ სჭირდებოდათ გოლი, რომელიც ფრეს შანსს მაინც დაუტოვებდათ და ეს საშინელი პირველი ტაიმის შემდეგ იდალური ვარიანტი იქნებოდა. გოლის ცდას კი 17 წუთი დასჭირდა — დონეცკელთა მეკარემ და მცველმა იაროსლავ რაკიცკიმ ერთმანეთში „გართობა“ გადაწყვიტეს, ტოტიმ მჭიდრო პრესინგს მიმართა, მეტოქეს ბურთი აწაპნა და 2 პასის შემდეგ მენეზს მიუვიდა, რომელმაც ზუსტად „ცხრიანში“ გაგზავნა მრგვალი სფერო — 2:3.

რომაელებს მატჩის გადარჩენის შანსი გამოუჩნდათ, მაგრამ, „შახტარს“ მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინა, უფრო დიდი ანგარიშით მოიგებდა. მართალია, ისინი უკვე იშვიათად გადადიოდნენ მეტოქის ნახევარზე, მაგრამ ყველა შეტევა ხიფათით მთავრდებოდა. ერთია, უკრაინული გუნდი დაბოლოებისას ცდებოდა.

მატჩის ბოლოს „რომა“ ვა-ბანკზე წავიდა და გათანაბრებაც შეეძლო, მაგრამ „მგლებს“ ისეთი კბილები არ აღმოაჩნდათ, რომელიც მეტოქეს ოდნავ მაინც დაკაწრავდა.

**მატჩის საუკეთესო მოთამაშე:** დუგლას კოსტა

„შახტარის“ ბრაზილიური დიასპორა კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ მათ ფონზე დუგლას კოსტა ნამდვილი ბელადი იყო. მისი დამსახურებაა დონეცკელთა მეორე გოლი, ხოლო მესამე გოლისას ასისტენტობა გაუწია ადრიანოს.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

არსენალი-ბარსელონა ........ 2:1
რომა-შახტარი ........ 2:3

**ინგლისი. თასი**

უიგანი-ბოლტონი ........ 0:1

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

სკანთორპი-ნოტინგემი ........ 1:0

**იტალია. სერია ა**

სამპდორია-ჯენოა ........ 0:1
ფიორენტინა-ინტერი ........ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 25 | 15 | 7 | 3 | 44:19 | 52 |
| 2.ნაპოლი | 25 | 14 | 4 | 6 | 40:22 | 49 |
| 3.ინტერი | 25 | 14 | 5 | 6 | 46:29 | 47 |
| 4.ლაციო | 25 | 13 | 6 | 6 | 32:22 | 45 |
| 5.უდინეზე | 25 | 13 | 4 | 8 | 42:30 | 43 |
| 6.იუვენტუსი | 25 | 11 | 8 | 6 | 41:30 | 41 |
| 7.პალერმო | 25 | 12 | 4 | 9 | 44:35 | 40 |
| 8.რომა | 24 | 11 | 6 | 7 | 35:32 | 39 |
| 9.კალიარი | 25 | 10 | 5 | 10 | 32:27 | 35 |
| 10.ფიორენტინა | 25 | 8 | 8 | 9 | 28:28 | 32 |
| 11.ჯენოა | 25 | 8 | 8 | 9 | 20:22 | 32 |
| 12.კიევო | 25 | 7 | 10 | 8 | 27:27 | 31 |
| 13.სამპდორია | 25 | 7 | 9 | 9 | 23:27 | 30 |
| 14.ბოლონია | 24 | 8 | 8 | 8 | 26:33 | 29 |
| 15.კატანია | 25 | 6 | 8 | 11 | 23:33 | 26 |
| 16.პარმა | 25 | 6 | 8 | 11 | 23:34 | 26 |
| 17.ლეჩე | 25 | 6 | 6 | 13 | 26:46 | 24 |
| 18.ბრეშა | 25 | 6 | 4 | 15 | 20:33 | 22 |
| 19.ჩეზენა | 25 | 5 | 6 | 14 | 17:34 | 21 |
| 20.ბარი | 25 | 3 | 6 | 16 | 14:39 | 15 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა*

**გერმანია. I ბუნდესლიგა**

ჰამბურგი-ზანკტ პაული ........ 0:1

**ბელგია. პროლიგა**

ვესტერლო-ლოკერენი ........ 1:2
ბეერსხოტი-გენტი ........ 2:2

**ფინეთი. თასი**

ჯჯკ-კუუპიო ........ 4:4
ვაასა-როვანიემი ........ 3:0

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

ორლანდო-ვაშინგტონი ........ 101:76
ტორონტო-მაიამი ........ 95:103
ბოსტონი-ნიუ ჯერსი ........ 94:80
დეტროიტი-ინდიანა ........ 115:109(ოტ)
კლივლენდი-ლეიკერსი ........ 104:99
ნიუ იორკი-ატლანტა ........ 102:90
ზაზა ფაჩულია: 2 ქულა, 1 მოხსნა
მინესოტა-კლიპერსი ........ 90:98
დალასი-საკრამენტო ........ 116:100
ჰიუსტონი-ფილადელფია ........ 105:114
მილუოკი-დენვერი ........ 87:94
იუტა-გოლდენ სტეიტი ........ 100:107
პორტლენდი-ნიუ ორლეანი ........ 103:96

### ჩოგბურთი

**ატპ. ბუენოს აირესი. თიხა**

მონტანესი-ფონინი ........ 6:2;4:6;6:4
ჩელა-სებალოსი ........ 7:5;6:2
ვავრინკა-ჰანესკუ ........ 6:7;6:1;7:6
მონაკო-შვანკი ........ 7:6;6:2

**ატპ. მარსელი. ჰარდი**

ცონგა-სტახოვსკი ........ 5:7;6:4;6:2
სიმონი-დავიდენკო ........ 7:6;6:4
მელცერი-სეპი ........ 7:5;6:3
ჩილიჩი-პეტშნერი ........ 7:6;6:3

**ატპ. მემფისი. ჰარდი**

ჰიუიტი-ლუ ........ 6:4;7:6
ფიში-ლაცკო ........ 6:7;6:4;7:6
ბლეიკი-კენდრიკი ........ 6:7;3:6
ვერდასკო-რაონიჩი ........ 4:6;6:3;6:7
დელ პოტრო-ისნერი ........ 6:4;6:3

**ვტა. დუბაი. ჰარდი**

ვოზნიაცკი-ჩაკვეტაძე ........ 6:1;7:5
ლი-ვიკმაიერი ........ 7:6;6:7;2:6
რადვანსკა-ბარტოლი ........ 6:3;6:2
სტოსური-შნიდერი ........ 6:3;6:4
ზვონარევა-კლეიბანოვა ........ 3:6;2:6
კუზნეცოვა-სკიავონე ........ 1:6;6:0;7:5

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

ბუფალო-ტორონტო ........ 1:2
კოლანბუსი-ლოს ანჯელესი 3:3(0:1ბ)
ნიუ ჯერსი-კაროლინა ........ 3:2
ფლორიდა-ფილადელფია ........ 2:4
ჩიკაგო-მინესოტა ........ 3:1
კოლორადო-პიტსბურგი ........ 2:3(ოტ)
კალგარი-დალასი ........ 4:2
ანაჰაიმი-ვაშინგტონი ........ 6:7

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# დღის კალენდარი

## 18 თებერვლისთვის



წლის 49-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 316 დღე.

### საეკლესიო კალენდარი

პარასკევი

ქალწულმოწამისა აღათია სიცილიელისა (251); პოლიევქტოსი, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა (970); თეოდოსისა, ჩერნიგოველი მთავარ ეპისკოპოსისა (1696); ღირსისა თეოდოსი ანტიოქიელისა (დაახლ. 412); მღვდელმოწამისა აბრაჰამ სპარსისა, რომელი იყო ეპისკოპოსი არაბიელ ქალაქით; ღირსისა პოლიევქტოსი, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა (970); ახალმოწამისა ანტონი ათენელისა (1774); კრება ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლის ხატისა დაკარგულთა მოძიება„, ღირსი საბა სიცილიელისა (X).

წმიდა მოწამე აღათია ასული იყო წარჩინებული და მდიდარი მშობლებისა. იმპერატორ დეკიოსის დრო დაწყებული ქრისტიანთა დევნის დროს ქალაქ კატანის განმგებელმა კვინტიანმა, რომელსაც აღათიას სარწმუნეობრივი აღმსარებლობის შესახებ აუწყეს, ბრძანა შეეპყროთ იგი. ის დიდ სატანჯველს სწიეს, მაგრამ მაინც არ უარყო ჭეშმარიტი რწმენა.

წმიდა მოწამე თეოდულია და მასთან ერთად მოწამენი: ელადი, მაკარი და ევაგრე. წმიდა მოწამე თეოდულია ქალაქ ანაზარვეში ცხოვრობდა იმპერატორების დიოკლეტიანესა და მაქსიმიანეს ხელმწიფობის ჟამს. ქალაქის თავი პელაგიოსი სასტიკი კაცი იყო. მისი მსახურები ქრისტიანებს დაეძებდნენ და შემდეგ კერპებს სწირავდნენ მსხვერპლად. ერთხელ თეოდულია შეიპყრეს და რჯულისგან განდგომა მოსთხოვეს, რაზეც მან უარი განაცხადა. ამის გამო ის ანთებულ ღუმელში შეაგდეს, მაგრამ უვნებელი გადარჩა. ამ სასწაულის ხილვაზე უამრავმა ადამიანმა ირწმუნა ქრისტე.

### დაიბადნენ:

1336 — თემურ ლენგი, შუა აზიელი მხედართმთავარი, ემირი. გარდაიცვალა 1405 წელს.

1404 — ლეონ ბატისტა ალბერტი, იტალიური აღორძინების ხანის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ფილოსოფოსი, არქიტექტორი, მხატვარი. გარდაიცვალა 1472 წელს.

1516 — მარია ტიუდორი, ინგლისის დედოფალი. გარდაიცვალა 1558 წელს.

1745 — ალესანდრო ვოლტა, იტალიელი მეცნიერი და გამომგონებელი. გარდაიცვალა 1827 წელს.

1784 — ნიკოლო პაგანინი, გამოჩენილი იტალიელი კომპოზიტორი და მევიოლინე.

1838 — ერნესტ მახი, ავსტრიელი ფიზიკოსი, ფილოსოფოს-იდეალისტი. გარდაიცვალა 1916 წელს.

1932 — მილოშ ფორმანი, ამერიკელი რეჟისორი და სცენარისტი.

1934 — რეზო ესაძე, კინორეჟისორი, სცენარისტი და მსახიობი.

1940 — გურამ ფირცხალავა, თეატრისა და კინოს მსახიობი.

1951 — ვახტანგ მაჭავარიანი, ცნობილი მუსიკოსი, დირიჟორი.

### გარდაიცვალნენ:

1546 — მარტინ ლუთერი, რეფორმაციის მეთაური გერმანიაში, გერმანული პროტესტანტობის ფუძემდებელი.

1564 — მიქელანჯელო ბუონაროტი, იტალიელი მოქანდაკე, ფერმწერი, არქიტექტორი, პოეტი.

1833 — რიხარდ ვაგნერი, ცნობილი გერმანელი კომპოზიტორი.

1915 — აკაკი წერეთელი, დიდი მწერალი, პოეტი.

### მოვლენები:

1855 წელი — ალექსანდრე II რუსეთის სამეფო ტახტზე ავიდა.

1861 წელი — დაარსდა გაერთიანებული იტალიის სამეფო, რომლის მეფეც ვიქტორ ემანუელი გახდა.

1952 წელი — თურქეთი და საბერძნეთი ნატოში გაერთიანდნენ.

1984 წელი — რომში იტალიასა და ვატიკანს შორის ახალ კონკორდატს მოეწერა ხელი.

### ღირსსახსოვარი დღეები:

გამბია — ეროვნული დღე.

ნეპალი — ეროვნული დღე.

**მედიანიუსი**

# ამერიკა კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნების უმრავლესობისთვის დახმარების შემცირებას გეგმავს

ამერიკის შეერთებული შტატები კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნების უმრავლესობისთვის დახმარების პროგრამის შემცირებას გეგმავს. ამის შესახებ ობამას ადმინისტრაციის მიერ 14 თებერვალს წარმოდგენილ ახალი ბიუჯეტის პროექტშია აღნიშნული.

„ევრაზიანეტ.ორგ-ის“ შესაბამის სტატიას გამოცემა „ფორინპრესი“ ავრცელებს. სტატიის თანახმად, აზერბაიჯანის დახმარება მნიშვნელოვნად შემცირდება, ხოლო საქართველოს, ტაჯიკეთის, თურქმენეთისა და უზბეკეთის დახმარება შარშანდელთან შედარებით ოდნავ შემცირდება. მნიშვნელოვნად გაიზრდება ყაზახეთის დახმარება.

მთლიანობაში, კავკასიისა და შუა აზიის რვა ქვეყნის დახმარებისთვის გათვალისწინებული ასიგნებები დაახლოებით 4%-ით შემცირდება 241 მილიონი დოლარიდან 232 მილიონ დოლარამდე, მაშინ, როდესაც მთლიანად სახელმწიფო დეპარტამენტის ბიუჯეტი დაახლოებით 1%-ით გაიზრდება.

ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი ჯერ კონგრესმა უნდა დაამტკიცოს, რომელსაც მასში ცვლილებების შეტანა შეუძლია. თუმცა, სამთავრობო პროექტში თეთრი სახლის პრიორიტეტები ჩანს. საუბარია 2011 წლის ოქტომბერში დაწყებულ 2012 წლის ფისკალური წლის ბიუჯეტზე.

გათვალისწინებულია ასევე რეგიონისთვის სამხედრო დახმარების შემცირება დაახლოებით 8%-მდე — 36,7 მილიონი დოლარიდან (რაც ადმინისტრაციამ შარშან მოითხოვა) 34 მილიონ დოლარამდე. ამ დახმარების ნახევარზე მეტი (18 მილიონი დოლარი) საქართველოსთვისაა განსაზღვრული. ძირითადად რეგიონის თითქმის ყველა ქვეყნისთვის, უზბეკეთის გამოკლებით, სამხედრო დახმარება ან ოდნავ შემცირდება ან იგივე მოცულობის დარჩება. უზბეკეთის დახმარება ოდნავ გაიზრდება: ის უცხო სახელმწიფოების სამხედრო ფინანსური დახმარების პროგრამით 100 000 დოლარს მიიღებს. ეს ამ პროგრამით მიღებული პირველი ფინანსური დახმარება იქნება 2005 წლის შემდეგ, როდესაც ანდიჟანში ხოცვა-ჟლეტის შემდეგ ქვეყანას დახმარება შეუწყვიტეს.—სამოქალაქო დახმარების დიდი ნაწილი — 66,7 მილიონი დოლარი საქართველოზე მოდის. შარშან ბიუჯეტში ამაზე 68,6 მილიონი დოლარი იყო გათვალისწინებული. განმარტებით დოკუმენტებში ნათქვამია, რომ საქართველოს მხარდაჭერა მის ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეფორმებთანაა დაკავშირებული.

ევრაზიაში ამერიკული დახმარების მიზანს ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკის მქონე დემოკრატიული ქვეყნების ჩამოყალიბების ხელშეწყობა წარმოადგენს. 2012 წლის ფინანსური წლის ბიუჯეტის პროექტში პრიორიტეტი ისეთი ქვეყნების მხარდაჭერაა, რომლებიც ევროპაში ინტეგრაციისკენ მიისწრაფვიან და უფრო რეფორმებზე ორიენტირებული ეკონომიკები აქვთ. რადგან საქართველოს ძირითადი ინფრასტრუქტურული საჭიროებები დაკმაყოფილებულია და რუსეთთან 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ აღდგენითი პროცესის პირველადი ამოცანები შესრულებულია, 2012 წელს საქართველოსთვის გათვალისწინებული დაფინანსება მიმართული იქნება მტკიცე დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობისა და ფართომასშტაბიანი ეკონომიკური ზრდის ინსტრუმენტების შექმნის გრძელვადიანი ძალისხმევის მხარდაჭერაზე„, ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის წერილში.

სახელმწიფო დეპარტამენტის აზრით, საქართველოსთვის გაწეულმა დახმარებამ ხელი უნდა შეუწყოს ხელისუფლების გამიჯვნის განმტკიცებას, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას, პოლიტიკური პლურალიზმის განმტკიცებას, დამოუკიდებელი მედია საშუალებების განვითარებას და ინფორმაციასთან თავისუფალ ხელმისაწვდომობას, ეკონომიკის აღდგენას, ენეგრეტიკული უსაფრთხოების ზრდას და სოციალური სექტორის შემდგომ რეფორმირებას.

**ინტერპრესნიუსი**




ეგვიპტეში კაიროს სიძველეთა მუზეუმს დაუბრუნდა ფარაონ ექნატონის 35 სმ სიმაღლის ქანდაკება, რომელიც ეგვიპტის ცნობილი მოვლენების დროს მუზეუმიდან დაკარგულ რვა ექსპონატთან ერთად შორის გაიტაცეს.

უცნობი პირების მიერ გატაცებული ექნატონის ქანდაკება მუზეუმს ამერიკული უნივერსიტეტის მასწავლებელმა დაუბრუნა. ეს ინფორმაცია ინტერნეტ-პორტალმა „ალ აჰრამმა“ გაავრცელა.

დაბრუნებული ქანდაკება წარმოგვიდგენს ექნატონს, რომელიც ღმერთებს მსხვერპლს სწირავს. იგი საოჯახო კულტის ნაწილად ითვლებოდა. მსგავსი ქანდაკებები, გარდა ამისა, თავად ფარაონის მაგიურ განსახიერებად იყო მიჩნეული და მათ მზის ღმერთ ატონის კულტის სხვადასხვა რიტუალის დროს იყენებდნენ.

კაიროს მუზეუმიდან ექსპონატების დაკარგვის ამბავი კვირას გავრცელდა, მას შემდეგ, რაც მუზეუმის თანამშრომლებმა საგანებო ინვენტარიზაცია ჩაატარეს.

ქურდებმა, გარდა ამისა, ფარაონ ტუტანჰამონის ორი, მოოქროვილი ხის ქანდაკებაც გაიტაცეს. ერთ-ერთი ქანდაკება ბარჯით შეიარაღებულ ფარაონს წარმოგვიდგენდა, მეორე სკულპტურულ კომპოზიციაში ქალღმერთს ჰყავდა ხელში აყვანილი.

ეს ქანდაკებები ტუტანჰამონის სამარხში ხის ყუთებში, სელის ქსოვილში შეხვეული იპოვეს.

ქანდაკებების გატაცებასთან დაკავშირებით დაკავებულია ცხრა ეჭვმიტანილი. ისინი სამხედრო ციხეში იმყოფებიან და მათი დაკითხვა მიმდინარეობს.

გარდა ამისა, ვანდალებმა 70-მდე ექსპონატი დააზიანეს და მათ აღდგენაზე რესტავრატორები მუშაობენ.

კაიროს მუზეუმი ტაჰრირის მოედანზე მდებარეობს. ეს მოედანი ბოლო ორი კვირის განმავლობაში ხელისუფლებისა და ოპოზიციის დაპირისპირების ადგილად იქცა. მუზეუმს მძარცველები ესხმოდნენ თავს, უშენდნენ ქვებსა და საწვავით სავსე, ცეცხლმოდებულ ბოთლებს. ამჟამად მუზეუმს ეგვიპტის არმია იცავს.

კაიროს მუზეუმში 150 ათასამდე ექსპონატია დაცული. მათ შორის მნახველების ყველაზე დიდი ინტერესით ძველი ეგვიპტის ფარაონების ეპოქა სარგებლობს. კაიროს მუზეუმის ყველაზე ცნობილ ექსპოზიციაში წარმოდგენილია ფარაონ ტუტანჰამონის სამარხში ნაპოვნი ძვირფასი ნივთები. ასევე პოპულარობით სარგებლობს ძველი ეგვიპტური მუმიების დარბაზი. ეგვიპტის ხელისუფლების განცხადებით, მუზეუმიდან არ დაკარგულა და არ დაზიანებულა არც ერთი მუმია.

**გ.თ.**

# ქართველი ხელოვანები ამერიკულ ჟურნალში მოხვდნენ

**ეკა ირემაშვილი**

პოეტის, პროზაიკოსის, ესეისტის, გივი ალხაზიშვილის, პოეტ ზვიად რატიანის, მწერლისა და პოეტის ბესიკ ხარანაულის ნაწარმოებები ცნობილი ამერიკული ჟურნალის „ზი დოთი გოასტის“ ოცდამესამე გამოცემაში მოხვდა. ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ამერიკული გამომცემლობა ქართველი ლიტერატორებით დაინტერესდა.

ქართველი ავტორების ჟურნალში მოხვედრას ხელი შეუწყო ქართული პოეზიით დაინტერესებულმა მთარგმნელმა ტიმოთი კერჩნერმა. საქართველოდან გამგზავრების შემდეგ (ტიმოთი კერჩნერი საქართველოში ინგლისური ენის პედაგოგად მუშაობდა) მთარგმნელი პოეტ ლელა სამნიაშვილს დაუკავშირდა, რომლის მიერაც შეირჩა ზვიად რატიანისა და გივი ალხაზიშვილის ლექსები, ხოლო ბესიკ ხარანაულის პოეზიიდან არჩევანი მთარგმნელმა ანი კოპალიანმა გააკეთა. საბოლოოდ ტიმოთი კერჩნერმა ქართველი ავტორების პოეზია თარგმნა და ჟურნალის რედაქციას მიაწოდა.

150-გვერდიანი ამერიკული ჟურნალი წელიწადში ორჯერ გამოდის და აერთიანებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პოეზიას, პროზას, დრამას, ლიტერატურასა და სახვითი ხელოვნების ნიმუშებს. დაარსების დღიდან (1988 წელი) დღემდე ჟურნალი ხელს უწყობს თანამედროვე ხელოვანების წარმოჩენასა და მათ პოპულარიზაციას სხვადასხვა ქვეყანაში. ჟურნალი ორენოვანია, ნამუშევრები წარმოდგენილია ორიგინალურ ენაზე და ნათარგმნია ინგლისურად.

# კახა კუკავა სოსო თოფურიძის და ოთარ ლომინაძის დაკავებას ითხოვს

თავისუფალი საქართველო ტელეკომპანია „მაესტროს“ მიერ გავრცელებული აუდიჩანაწერის საფუძველზე, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, სოსო თოფურიძის და შსს კიდევ ერთი მაღალჩინოსნის, ოთარ ლომინაძის დაპატიმრებას მოითხოვსკახა კუკავას ორგანიზაციის განცხადებით, აღნიშნული ჩანაწერი საკმარისი მტკიცებულებაა იმისთვის, რომ ამ ორი ადამიანის დაპატიმრების საფუძველი გახდეს, რადგან ჩანაწერში კარგად ჩანს, თუ როგორ სძალავდნენ აღნიშნული პირები 3 მილიონ ევროს საბერძნეთის მოქალაქე ნუგზარ ბოჭორიშვილს.

მათი თქმით, კორუმპირებული ჩინოვნიკები 3 მილიონი ევროს სანაცვლოდ ბოჭორიშვილს როგორც ბრალდებულს, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მოხსნას სთავაზობდნენ.

— რამდენიმე დღის წინ, სააკაშვილმა პარლამენტში გამოსვლისას დეპუტატებს მოსთხოვა დაესახელებინათ კორუმპირებული ჩინოვნიკების გვარები. სამწუხაროდ პარლამენტში ამ შეკითხვას პასუხი არ გაეცა.ჩვენ გვსურს დავუსახელოთ მიხეილ სააკაშვილს მრავალთაგან 2 ღრმად კორუმპირებული ჩინოვნიკის გვარი:სოსო თოფურიძე და ოთარ ლომინაძე. ტელეკომპანია „მაესტრო“-ს კვირის ეთერში მთელმა საქართველომ იხილა აუდიო ჩანაწერი თუ როგორ სძალავდა ეს ორი რეკეტიორი 3 მილიონ ევროს საბერძნეთის მოქალაქე ნუგზარ ბოჭორიშვილს. სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მოვითხოვთ: აყვანილი იქნენ თოფურიძე და ლომინაძე წინასწარ პატიმრობაში; მივლინებულ იქნეს საგამოძიებო ჯგუფი საბერძნეთში და დაიკითხოს ნუგზარ ბოჭორიშვილი დეტალურად გამოთქმულ ბრალდებებთან დაკავშირებით. ჩვენი მხრივ გავაგრძელებთ მონიტორინგს და ჩავატარებთ დამოუკიდებელ გამოძიებას შსს კორუმპირებული ჩინოვნიკების რეკეტიორულ საქმიანობაზე, — აცხადებს მოძრაობა „თავისუფალი საქართველო“

**მედიანიუსი**



# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. რაიმეს გარდაქმნა, შეცვლა; 2. მგზავრთა გადაყვანა, ტვირთის გადაზიდვა შუალედური პუნქტის გავლით; 3. სპილენძის შემცველი ლურჯი ფერის მინერალი; 5. მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო მანქანა; 7. პირადი ინტერესების სხვის ინტერესებზე წინ დაყენება; 9. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 13. რაიმე მოვლენის, პროცესის მიზეზი, მამოძრავებელი ძალა; 15. ლითონის ზედაპირის დაშლა რაიმე ზემოქმედების შედეგად; 16. იოსებ სტალინის ლიტერატურული ფსევდონიმი; 18. ხორცის შესაწვავი მბრუნავ შამფურებიანი ელექტროღუმელი.

**თარაზულად:** 4. ტურისტთა, მოგზაურთა გზამკვლევი ცნობარი; 6. ფრანგული ლიქიორი; 8. მდინარეების შემსწავლელი ჰიდროლოგიის ნაწილი; 10. ამერიკული ფარმაცევტული კომპანია; 11. მდგომარეობა ჭადრაკში; 12. დენის ძალის საზომი ერთეული; 14. პოეტური ქმნილება; 17. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 19. ყოველდღიური გაზეთი საფრანგეთში; 20. სასტუმრო ავტოტურისტებისთვის; 21. ძვირფასი ლითონი; 22. საფოსტო გზავნილება; 23. ჰოლანდიური ელექტროტექნიკური კომპანია.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. პატენტი; 2. არალი; 3. მოტოროლა; 4. ბულბული; 5. კორნიშონი; 9. მითანა; 12. გალუაზი; 14. ნუნცია; 15. გეთი; 17. ცერნი; 18. ალტი.

**თარაზულად:** 6. ქაშერი; 7. კონსუელო; 8. ვექილი; 10. მუაში; 11. ციცინათელა; 13. ანტიგონე; 16. ვადუცი; 19. ლილახანა; 20. ფალსტაფი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ჰეროინი; 2. დაბახანა; 3. ურთხელი; 5. აფერისტი; 7. ვაგნერი; 9. რეპარაცია; 13. ლეოხარი; 15. შურთხი; 16. მაჩეტე; 18. მყიფე.

**თარაზულად:** 4. პეტრარკა; 6. ავადჰარა; 8. კონცენტრატი; 10. ამნეზია; 11. პული; 12. ირონია; 14. აშული; 17. სარკე; 19. გროგი; 20. გენოტიპი; 21. არფა; 22. ფილისტერი; 23. ვერდერი.

# მუსლიმანები წინასწარმეტყველ მუჰამედის დაბადების დღეს აღნიშნავენ



ხუთშაბათს, 17 თებერვალს, მსოფლიოს მილიარდზე მეტმა მუსლიმანმა მაულიდ ან ნაბის, ანუ წინასწარმეტყველ მუჰამედის დაბადების დღე აღნიშნა. არაბთა გაერთიანებულ საემიროებსა და არაბეთის ნახევარკუნძულის სხვა ქვეყნებში ეს დღე გამოსასვლელ დღედ არის გამოცხადებული.

აბუ დაბის შეიხ ზაიდის მეჩეთში ამ თარიღთან დაკავშირებით ქადაგება გაიმართა. საზეიმო ღონისძიებები გაიმართა აგრეთვე სხვა არაბულ ქალაქებშიც.

წინასწარმეტყველ მუჰამედის დაბადების დღე, თვე და წელიწადი ზუსტად ცნობილი არ არის, რადგან სემიტებსა და არაბებში დაბადების დღის რეგისტრაციის ტრადიცია არ არსებობდა. როგორც ვარაუდობენ, წინასწარმეტყველი მუჰამედი 570-580 წლებში დაიბადა. წინასწარმეტყველ მუჰამედის დღესასწაული მექას მცხოვრებთა მეხსიერებაში დაფიქსირებული ისტორიული ფაქტებიდან და მოვლენებიდან ივარაუდეს. როგორც ცნობილია, მუჰამედი წარმოშობით კურეიშიტების არაბული ტომის ჰაშიმის გვარიდან იყო. მამამისი შვილის დაბადებას ვერ მოესწრო და მემკვიდრეობით ხუთი აქლემი, ცხვრის ფარა და მახვილი დაუტოვა.

მუჰამედმა ახალი რელიგიის, ისლამის საშუალებით წარმართი არაბული ტომები გააერთიანა. მის მიერ დაარსებულმა ისლამურმა სახელმწიფომ თავისი ზეგავლენის ქვეშ მოაქცია ვრცელი ტერიტორიები ატლანტის ოკეანიდან ინდოეთის ოკეანემდე.

მუსლიმანები წინასწარმეტყველ მუჰამედის დაბადების დღეს თავიდან არ აღნიშნავდნენ და ეს დღესასწაული აბასიდების დინასტიის წარმომადგენელი ბაღდადის მმართველის, ხალიფა ან-ნასირის დროს 1207 წელს შემოიღეს.

მაულიდის დღესასწაულთან დაკავშირებით მეჩეთებში ერთობლივ ლოცვას აღავლენენ, საზემო ქადაგებები იმართება, გარდა ამისა, მაულიდებს კითხულობენ, წინასწარმეტყველ მუჰამედს ხოტბასასხამენ. რიგ ქვეყნებში იმართება საზეიმო მსვლელობები ფარნებითა და ანთებული ჩირაღდნებით. დღესასწაულის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს ღარიბებისა და უპოვართათვის მოწყალების გაღება.

# ევროპარლამენტის დეპუტატებს რუსეთში კანონების უზენაესობა აეჭვებთ



ევროპარლამენტმა რუსეთის ხელისუფლებს კიდევ ერთხელ მოუწოდა, ბოლომდე გამოიძიონ ჟურნალისტებისა და ადამიანის უფლებათა დამცველების რეზონანსული მკვლელობები და საქმით დაადასტურონ რუსეთის პრეზიდენტის განცხადებები კანონის უზენაესობის შესახებ. გარდა ამისა, ევროპარლამენტის დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ უკანონობისა და კორუფციის პირობებში მოდერნიზაცია მიუღწეველ მიზნად დარჩება.

ევროპარლამენტის დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს რეზოლუციას კანონის უზენაესობის შესახებ რუსეთში. როგორც დეპუტატებმა აღნიშნეს, რუსეთში ბოლოდროინდელი ზოგიერთი სასამართლო განხილვა სასამართლოს მიუკერძოებლობითა და დამოუკიდებლობით დაეჭვებას იწვევს.

რეზოლუციაში, რომელიც რეკომენდაციულ და არა იურიდიულად სავალდებულო ხასიათს ატარებს, გაკრიტიკებულია იუკოსის მეორე საქმე, გარდა ამისა, ის, რომ გახმაურებული მკვლელობები რუსეთში კვლავინდებურად გამოუძიებელი რჩება, ასევე შეშფოთებაა გამოთქმული ოპოზიციის მშვიდობიანი დემონსტრანტების დარბევასა და მთავრობის ოპონენტებისა და კრიტიკით გამოსულთა დევნილთა შევიწროებასთან დაკავშირებით.

ევროდეპუტატებმა აღნიშნეს, რომ რუსეთმა, რომელიც 1996 წლიდან ევროსაბჭოს წევრია, ადამიანის უფლებები უნდა დაიცვას, დემოკრატიული პრინციპების ერთგული უნდა დარჩეს.

დეპუტატებმა, გარდა ამისა, რუსეთის ხელისუფლებს მოუწოდეს, ყური უგდონ ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს გადაწყვეტილებებს და მომავალში ადამიანის უფლებათა დარღვევები არ დაუშვან.

ევროდეპუტატებმა გააკრიტიკეს აგრეთვე მიხაილ ხადარკოვსკისა და პლატონ ლებედევის მეორე პროცესის შედეგად გამოტანილი განაჩენი.

ევროპარლამენტის დეპუტატების მიერ მიღებულ რეზოლუციაში ჩამოთვლილია აგრეთვე ნატალია ესტემიროვას, ანასტასია ბაბუროვას, ანა პოლიტკოვსკაიას, სერგეი მაგნიტსკის გახმაურებული მკვლელობები, რომლებიც დღემდე გაუხსნელი რჩება.

რეზოლუციაში ლაპარაკია აგრეთვე გასული წლის ბოლო დღეს ბორის ნემცოვისა და ტრიუმფალურ მოედანზე გამართული მიტინგის სხვა მონაწილეების დაპატიმრების შესახებ.

ევროპარლამენტის დეპუტატები რუსეთსა და ევროკავშირს თანამშრომლობის ახალ საბაზო შეთანხმებაში ადამიანის უფლებათა დაცვის პუნქტის ჩართვისაკენ, მომავალში ადამიანის უფლებათა დაცვის ვითარებასთან დაკავშირებით გამართულ დისკუსიებში რუსეთის იუსტიციის, შს და საგარეო საქმეთა მინისტრების ჩართვისაკენ მოუწოდებენ.

რეზოლუციის დასკვნით ნაწილში ნათქვამია, რომ რუსეთში ადამიანის უფლებათა დაცვა მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში ქვეყნის იმიჯს გააუმჯობესებს და ევროპასთან თანამშრომლობას განამტკიცებს.

რუსეთის ხელისუფლები დასავლეთის პოლიტიკოსებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტების მხრიდან მსგავს კრიტიკას ტრადიციულად უარყოფითი რეაქციით პასუხობენ.

ასე მაგალითად, გასული წლის დეკემბერში ევროპარლამენტის წინადადებას ევროკავშირის მიერ მაგნიტსკის საქმესთან დაკავშირებული სახელმწიფო ჩინოსნების წინააღმდეგ სანქციების დაწესების შესახებ რუსეთმა ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევისაკენ წაქეზებად შეაფასა.

# თავის ტკივილის მიზეზი ქალაში ჩარჩენილი დანის პირი გამოდგა



ჩინელმა მამაკაცმა, რომელმაც ექიმებს თავის ძლიერი ტკივილების ჩივილით მიაკითხა, მედიკოსების გაოცება და ლამის შოკი გამოიწვია — როგორც გაირკვა, ოთხი წლის განმავლობაში იგი თავის ქალაში ჩაჭედილ, 10 სმ სიგრძის დანის პირს ატარებდა.

ტკივილების მიზეზების შესახებ პაციენტისათვის არაფერი იყო ცნობილი და თავად ცდილობდა მკურნალობას, სხვადასხვა ტკივილგამაყუჩებელს იკეთებდა. პაციენტი ფიქრობდა, რომ თავის ტკივილი ყურის პრობლემებით იყო გამოწვეული. ტკივილებმა ძალიან რომ შეაწუხეს, ჩინელმა მამაკაცმა ექიმს, სტომატოლოგს მიაკითხა. ექიმმა რენტგენის სურათი გადაუღო და სურათზე დანის პირი დაინახა.

ექიმების თქმით, პაციენტის პირის ღრუ საგულდაგულოდ შეამოწმეს და თავში დანის მოხვედრის მიზეზის დადგენა სცადეს. მათ მცდელობას წარმატება არ მოჰყოლია.

გარკვეული დროის შემდეგ პაციენტმა გაიხსენა, რომ ოთხი წლის წინ მას დანით შეიარაღებული მძარცველი დაესხა თავს და დანა მარჯვენა მხრიდან, ქვედა ყბის არეში დაარტყა.

ამ შემთხვევის შემდეგ მას თავის ტკივილები დასჩემდა, ხმა ჩაეხრინწა, მეტყველება და ყლაპვა უჭირდა. საბედნიეროდ, დანას ნერვები და არტერია არ დაუზიანებია.

ამჟამად პაციენტს დანის პირი უკვე ამოაცალეს და იგი სარეაბილიტაციო თერაპიის კურსს გადის.

# ბაჰრეინში დემონსტრანტები მთავარი მოედნიდან გააძევეს

ხუთშაბათს ღამით ბაჰრეინის პოლიციამ ქვეყნის დედაქალაქ მანამას ცენტრალური მოედნიდან დემონსტრანტების გაძევების ოპერაცია განახორციელა.

გამთენიისას ასობით პოლიციელმა ალყა შემოარტყა მოედანს და საპროტესტო აქციის სამი ათასამდე მონაწილის წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები გამოიყენა.

ბაჰრეინის ოპოზიციის თანახმად, ამ ოპერაციის შედეგად არანაკლებ ორი ადამიანი დაიღუპა.

ოთხშაბათს ბაჰრეინში მრავალათასიანი დემონსტრაციები გაიმართა. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები დემონსტრანტებს აქციის გამართვაში ხელს არ უშლიდნენ.



მანამდე, ორი დღის განმავლობაში, აქციის მონაწილეებისა და პოლიციელების შეტაკებები ხდებოდა. საპროტესტო აქციის მონაწილეები რეფორმების გატარებისაკენ მოუწოდებდნენ.

საპროტესტო გამოსვლები და პოლიციასთან შეტაკებები ლიბიაშიც მოხდა.

ბაჰრეინის საერო პარტიის, ვაადის წარმომადგენლების თქმით, ბაჰრეინის პოლიციამ მანამას მთავარი მოედნის გაწმენდის ოპერაცია ადგილობრივი დროით სამ საათზე, წინასწარი გაფრთხილების გარეშე დაიწყო.

შერიფის თქმით, დემონსტრანტებს ამ დროს მოედანზე გაშლილ კარვებში ეძინათ. მათ შორის მრავლად იყვნენ ქალები და ბავშვები.

ბაჰრეინი სპარსეთის ყურეში მდებარე კუნძულოვანი სახელმწიფოა. აქ შიიტებსა და ხელისუფლების სათავეში მყოფ სუნიტურ უმცირესობას შორის დაძაბული ურთიერთობა არსებობს. შიიტები სეგრეგაციისა და რეპრესიების წინააღმდეგ გამოდიან, რისი მსხვერპლიც, ისინი, მათივე თქმით, ხელისუფლების მხრიდან ხდებიან.

ქვეყნის მონარქი ჰამად ბინ ისა ალ ხალიფი სახელმწიფო ტელევიზიით სამშაბათს გამოვიდა და აქციის ორი მონაწილის დაღუპვასთან დაკავშირებით სინანული გამოთქვა. მეფემ დაადასტურა, რომ 2002 წელს დაწყებული რეფორმების კურსის გაგრძელება სურს.

*მოამზადა გენადი თვაურმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

სამძიმარს ვუცხადებთ შვილებს ნაირა, ზაირა, ველოდი გვასალიებს, რძალ მანანა ქიქავას, შვილიშვილებს, რომ გარდაიცვალა დიდებული ქალბატონი

**ქანა დომენტის ასული გოგია-გვასალია**

თანავუგრძნობთ ოჯახის წევრებს, ნათესავებსა და ახლობლებს.

დაკრძალვა: კვირას, 20 თებერვალს, მარტვილის რაიონის სოფელ ლეფოჩხუეში.

*მიქაიების ოჯახი*

მეუღლე მადონა კაიკაციშვილი, შვილები ქეთევან, რუსუდან სისაურები, სიძეები ნუგზარ შოშიაშვილი, მიხეილ აბულაძე, არჩილ მოდებაძე, შვილიშვილები ვახტანგ სახოკია, ნინო, ლელა შოშიაშვილები, შვილთაშვილები, სიდედრი ნატო თოთიბაძე, ცოლისძმა მამუკა და უახლოესი ნათესავები იუწყებიან

**ნიკოლოზ გიორგის ძე სისაურის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 18, 19 თებერვალს, 16 საათზე, ქ.თბილისი, გორგასლის ქუჩა №37, VII სადარბაზო, ბინა №147.

გამოსვენება: 20 თებერვალს, 14 საათზე, საბურთალოს უფლის ამაღლების ეკლესიიდან.



**ოლია ყიფშიძე-იობაშვილის გახსენება**

დღეს დაბადების დღე გაქვს, დედა. ვაი, რომ უშენოდ ვხვდებით მას. მოვალთ შენს საფლავზე, მოგიტანთ უამრავ ყვავილს, რომელიც შენ ასე ძალიან გიყვარდა, დავღვრით ცრემლს, უშენობით გამოწვეულს, დაგინთებთ სანთლებს, გისურვებთ ნათელში ყოფნასა და სასუფევლის დამკვიდრებას, ჩვენო საყვარელო, თბილო, კეთილო და უძვირფასესო, მონატრებულო დედიკო!

*შვილები*

უახლოესი მეგობრები მერაბ თევზაძე, რამაზ ანთაძე, იური ცოტაძე, გივი კეკელიძე, ზაზა ჯანაშია, ვასიკო ბოყოჩაძე, გერმანე მეძმარიაშვილი, გურამ ნარიმანაშვილი, ავთო მჭედლიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თემო პეტრიაშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**



დეზინფექციის, დეზინსექციის, დერატიზაციისა და სტერილიზაციის სპეციალიზირებული ეპიდზედამხედველობის ცენტრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნინო გაბოშვილს მამის

**ბონდო გაბოშვილის**

გარდაცვალების გამო.

## TV პროგრამა

**პარასკევი 18 თებერვალი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00, 03.20** მოამბე **12.30** ავტოპილოტი **13.30** ვაშინგტონი დღეს **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **15.00** სერ. "**ტკბილი, მწარე ცხოვრება**" **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "უძველესი დაკარგული ქალაქები" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. "**ტკბილი, მწარე ცხოვრება**" **22.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.00** სერ. "**ფარი**" (12) **00.00** წითელი ზონა **01.00** მხ. ფ. "**ორი ინგლისელი და კონტინენტი**" (12)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი "**გრეისის არჩევანი**" **01.00** მხ. ფ. "**უჩინმაჩინი**" (18)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**გრძნობათა ტყვეობაში**" **10.00** სერ. "**მიმწყვდეული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სერ. "**შენ ჩემი სიცოცხლე ხარ**" **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** პროფილი **16.50** სერ. "**მორენას ვნება**" **18.30** სერ. "**გაორება**" **18.50** სერ. "**დანიელა**" **19.50** სერ. "**ელენას მონჩვენება**" **21.00** კურიერი **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.00** სერ. "**ექიმი ჰაუსი**" **00.00** მხ. ფილმი "**შეყვარებული გასტროლიორი**" (18) (ზ. ბრაუნი) **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია **09.00** სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. "**დაუნდობელი სამყარო**" **12.00** სერ."**ორნახევარი კაცი**" **12.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.45** მხ. ფილმი **16.45** მხ. ფილმი **19.00** სერ. "**ვნებათა მიწა**" **20.00** სერ. "**დაუნდობელი სამყარო**" **21.00** გადაცემა "**105** წუთი" (პირდ.) **22.50** მხ. ფილმი (სუბტ.) **01.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. "**სილამაზის მსხვერპლი**" **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.40** ტვ-მარკეტი **11.50** სერ. "**ბოშები**" **13.00** სერ."**ლობას საიდუმლო**" **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. "**მონტეს ოჯახი**" **17.40** სერ."**სიყვარულის ზღვა**" **18.45** სერ."**ლობას საიდუმლო**" **21.00** სერ. "**ქალბატონი**" **22.00** სერ. "**გოგონა გარეუბნიდან**" **23.00** მხ. ფილმი "**ქონდრისკაცი**" (მ. უაიენსი) (სუბტ.) **01.00** მხ. ფილმი "**ევროპელი ჟიგოლო**" (12) (რ. შნაიდერი) (სუბტ.) **02.20** მხ. ფ."**ღვთის გამოგზავნილი**" (15) (სუბტ.)

**09.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.30, 23.00** სერ. "**დაცვის უფლება**" **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. "**იდუმალი სტუმარი**" **12.50, 19.30** სერ. "**საყვარელი არსებები**" **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. "**რა თქვა განსვენებულმა**" **19.00** მუსიკა **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.15** სიახლენი **10.35** დოკ. ფილმი "გია ყანჩელი" **11.30** გზა, რომლითაც ვიარე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფ. "**მაცი ხვიტია**" **13.20** კონცერტი – მგზარვები **15.05** მხ. ფილმი "**სიბრძნე სიცრუისა**" **16.35** დოკ.ფ."ველური ბუნება" **17.00** დოკ. ფილმი "იაკობ გოგებაშვილი" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი "**არაჩვეულებრივი გამოფენა**" **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დიდი მარხვა **00.35** კვირიაკე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2011 წლის 18 თებერვალს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:

აშშ დოლარი — 1,7699

ევრო —2,394

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,8425

რუსული რუბლი — 0,0604

## ამინდის პროგნოზი 18 თებერვლისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 2-6, ღამით — -1-2

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 12-16, ღამით — 6-11

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — -3-1, ღამით — -14-9







## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო" უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58,


## ასტროპროგნოზი 18 თებერვლისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ! წარმატებული დღეა.

**ვერძი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კურო** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **ტყუპები** — არ გადაიღალოთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — მშვენიერი დღეა, ბედი გწყალობთ. **ლომი** — ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **ქალწული** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **სასწორი** — იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, იფიქრეთ ამაზე. **ღრიანკალი** — თქვენი საქმე წინ მიდის, ყველაფერი კარგად იქნება. **მშვილდოსანი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თხის რქა** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **მერწყული** — საღამო მეგობრებთან ერთად გაატარეთ, მათგან კარგ ამბავს გაიგებთ. **თევზები** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. წმინდა ოქრო; 2. მდინარის მონატანი სილა, თიხა, რიყის ქვა; 3. დედამიწის აგებულებისა და შემადგენლობის შემსწავლელი მეცნიერება; 4. ნატურალური სიდიდის, სხეულის ან მისი ნაწილის მოდელი თვალსაჩინოებისთვის; 5. ყურძნის დასაწური გულამოღებული ხის მოგრძო ჭურჭელი; 9. უსინათლოთა შრიფტის გამომგონებელი ფრანგი ტიფლოპედაგოგი; 12. მოხატული და ორნამენტებით შემკული ჭერი; 14. ბუდისტთა საკულტო ნაგებობა ჩეხეთსა და იაპონიაში; 15. მე-19 საუკუნის ფრანგი ხელოვნების თეორეტიკოსი; 17. ზოდიაქოს ნიშანი; 18. იტალიის საინფორმაციო სააგენტო.

**თარაზულად:** 6. სოფელი ხევსურეთში; 7. ფარიკაობის ძველი ქართული სახელწოდება; 8. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 10. აქლემის ბეწვისგან მოქსოვილი ხალიჩა; 11. ფუნდამენტალური სამეცნიერო ნაშრომი; 13. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ყოველწლიური წერილობითი მიმართვა მოსახლეობისადმი; 16. აზერბაიჯანის პრეზიდენტი; 19. ქართველი მოქანდაკე, როდენის მოწაფე; 20. მხარე გერმანიაში.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*




## ნანი ბრეგვაძე რუსეთში იმღერებს



ქართული ესტრადის დედოფალი, ნანი ბრეგვაძე, 26 თებერვალს პეტერბურგს ეწვევა და კონცერტს გამართავს. ინფორმაციას ამის შესახებ „ტურნავიგატორი" კონცერტის ორგანიზატორებისაგან მიღებული ინფორმაციით ავრცელებს.

ღონისძიების ორგანიზატორთა თქმით, ეს შესანიშნავი მომღერალი უკვე ათწლეულებია მილიონობით მსმენელს ატყვევებს. მისთვის დამახასიათებელია შეუდარებელი ტალანტი, სულიერება, არტისტიზმი და მომხიბვლელობა. მას რუსი მსმენელი უკვე დიდი ხანია მოუთმენლად ელოდება.

26 თებერვალს „გიგანტ-ჰოლში" ნანი ბრეგვაძე წარდგება პროგრამით „გულის ხმა". მომღერალი რუსულ რომანებთან ერთად ქართულ სიმღერებსაც შეასრულებს. გასული საუკუნის 60-იან წლებში ნანი ბრეგვაძემ პირველმა დაუბრუნა საბჭოთა ესტრადას რუსული და ბოშური რომანსები, რაც დიდი ხნის განმავლობაში ჩამკვდარი იყო. პეტერბურგში დაგეგმილ კონცერტზე ნანი ბრეგვაძეს ფორტეპიანოზე აკომპანიმენტს ალექსანდრე სარიევი გაუწევს.

კონცერტი სახელწოდებით „გულის ხმა" ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში უნდა გამართულიყო. როგორც მაშინ ნანი ბრეგვაძემ განაცხადა, კონცერტის მოხსნასთან დაკავშირებით იგი თავის პროდიუსერს დაუკავშირდა და დაგეგმილი ღონისძიების გაუქმება მოსთხოვა.

პეტერბურგში დაგეგმილი ბილეთის ფასი 800-დან 2000 რუსულ რუბლამდე მერყეობს.

*ეკა ირემაშვილი*

## იუმორი



— არ იცი, ჩვენთან სამსახურში სკლეროზი არავის სჭირს?

— რაში გაინტერესებს?

— ფული მინდა ვისესხო...

***

— გამოცდილი ქალი არის ის, ვისაც თავის გამოუცდელად მოჩვენება შეუძლია...

***

— თქვენ რა, მაშინებთ?

— არა, თქვენი ანარეკლი კი არ ვარ, რომ შეგაშინოთ...

***

— როგორ ფიქრობ, ნოე კიდობანში რით იკვებებოდა?

— ალბათ, თევზაობდა.

— ასე გგონია? არა მგონია, ორი ჭიაყელით ბევრი თევზი დაეჭირა...

***

— სამსახურში რას აკეთებ?

— მივდივარ და ხუთამდე ვითვლი.

— მერე?

— ხუთზე სამუშაო დღე გვითავდება...

***

ცოლი:

— ნახე, რა საშინელი აბაზანა გვაქვს, მოდი გამოვცვალოთ.

გამოცვალეს.

— ნახე, რა საშინელი კარი გვაქვს.

გამოცვალეს.

— რა საშინელი ფანჯრები გვაქვს.

გამოცვალეს.

— რა საშინელი მაცივარი გვაქვს.

ქმარი:

— მიდი ერთი, სარკეში ჩაიხედე...

## ალექსანდრე ამისულაშვილი რუსეთში ბრუნდება



საკმაოდ მოულოდნელი ინფორმაცია გავრცელდა — საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი ალექსანდრე ამისულაშვილი თურქეთს ტოვებს და სათამაშოდ ისევ რუსეთში ბრუნდება. მართალია, ევროპაში სატრანსფერო ფანჯარა დაიკეტა, მაგრამ მხოლოდ რუსეთ-უკრაინაში შეიძლება საქმეების გაჩარხვა და ამისულაშვილიც ამ ბადეში მოყვა.

ამისულაშვილი თურქულ „ქაისერში" შოთა არველაძის მიწვევით გადავიდა და გუნდს საკმაოდ კარგად შეეწყო. ჩვენებური იქაური სუპერლიგის პირველი წრის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს, თავად „ქაისერი" ჩემპიონატში მე-4 ადგილზეა და ევროტურნირებზე თამაშს უმიზნებს. ამასობაში კი ამისულაშვილი გუნდს ტოვებს და კრასნოდარის „ყუბანში" გადადის, რომელიც წელს აღზევდა რუსეთის პრემიერ-ლიგაში.

28 წლის მცველის რუსეთში დაბრუნების მიზეზი კი ფინანსები უნდა იყოს. როგორც თურქული მედია აცხადებს, საქართველოს ნაკრების ფეხბურთელს რუსეთში 3-ჯერ მეტი ხელფასი შესთავაზეს, რაც მცირე თანხა ნამდვილად არ იქნება.

— რუსული კლუბი დაინტერესებულია ამისულაშვილის შეძენით. თავად ფეხბურთელმაც გვითხრა, რომ სურვილი აქვს, კარიერა იქ გააგრძელოს. ჯერჯერობით არაფერი გადაგვიწყვეტია და დაველოდებით მოვლენების განვითარებას, — განაცხადა „ქაისერის" გენერალურმა მენეჯერმა სულეიმან ხურმამ.

შეგახსენებთ, რომ ამისულაშვილს „სამტრედიაში", ქუთაისის „ტორპედოში", თბილისის „დინამოში", კიევის „დინამოში", სიმფეროპოლის „ტავრიასა" და ნალჩიკის „სპარტაკში" უთამაშია.

*მ. ჟ.*

## რატომ ხუნდება ვან გოგის სურათები



მეცნიერებმა ცნობილი მხატვრის, ვინსენტ ვან გოგის ზოგიერთი ნამუშევრის საღებავების გახუნებისა და ფერის დაკარგვის მიზეზი აღმოაჩინეს. როგორც გაირკვა, მიზეზი რთული ქიმიური რეაქცია ყოფილა, რომელიც საღებავში მიმდინარეობს.

ამ აღმოჩენის საშუალებით მეცნიერები იმედოვნებენ, რომ ჰოლანდიელი მხატვრის მრავალი ტილოს გახუნების პროცესის შეჩერებას შეძლებენ.

გამოკვლევის შედეგების თანახმად, უპირველესად ყოვლისა, სურათების მზის სხივებისა და უწინარესად ულტრაიისფერი სხივებისაგან დაცვაა საჭირო.

რთული გამოკვლევების, მათ შორის, რენტგენის სხივების საშუალებით ჩატარებული კვლევების საშუალებით მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მზის გამოსხივება საღებავში მხოლოდ რამდენიმე მიკრომეტრის სიღრმეზე აღწევს, მაგრამ ყვითელი პიგმენტის ყავისფრად გადაქცევას მაინც ახერხებს.

ვან გოგმა სამრეწველო წარმოების კაშკაშა საღებავების გამოყენება ჰოლანდიიდან საფრანგეთში გადასვლის შემდეგ დაიწყო, სადაც იგი იმ დროისათვის ფერწერაში ფერის გამოყენების მისი უჩვეულო იდეების მომხრე ფრანგ მხატვრებს დაუახლოვდა.

ვან გოგის შემოქმედების ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა მისი „მზესუმზირები", სადაც ყვითელ ფერს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

*გ. თ.*

## ხართ თუ არა მორცხვი

ტესტი



1. არ მესიამოვნება, თუ ვინმე ჩემი დღიურის კითხვას დაიწყებს.
2. საცეკვაო დარბაზში, როგორც წესი, მორცხვად დგახართ კუთხეში.
3. მიჭირს ვინმეს ვახშამზე მიპატიჟება, რადგან უარის მეშინია.
4. უცნობ თამაშში მონაწილეობის მიღებას თუ შემთავაზებენ, უარს ვიტყვი.
5. თუ ჩემი სამოსი საგრძნობლად განსხვავდება სხვებისაგან, თავს უხერხულად ვიგრძნობ.
6. დაგვიანებისას ვცდილობ, აუდიტორიაში არ შევიდე, რადგან ვერ ვიტან ჩემკენ მომართულ მზერას.
7. მოხსენებით ან საჯარო გამოსვლის დროს წინასწარ დაწერილ ტექსტს თვალს ვერ ვაშორებ.
8. როდესაც ვინმეზე გაბრაზებული ვარ, ყოველთვის ვაგრძნობინებ.
9. პლაჟზე ან აუზში, საცურაო კოსტიუმში თავს უხერხულად ვგრძნობ.
10. შექებისას თავს უხერხულად ვგრძნობ.
11. ანეკდოტის მოყოლისას ყურადღების ცენტრში რომ ვხვდები, ვიბნევი.
12. როდესაც ხუმრობის ობიექტი ვხდები, ვწითლდები და ვიბნევი.

**პასუხები**

*დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით:*

**0-4 ქულა:** მორცხვი სულაც არ ხართ, თუმცა, არც ზრდილობის ნორმებს არღვევთ.

**5-8 ქულა:** სიმორცხვე თქვენი ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა, მაგრამ წარმატებით ცდილობთ მის დაძლევას.

**9-12 ქულა:** ძალიან მორცხვი ბრძანდებით.

*გ. თ.*